საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

განათლების მიმართულება

ნელი ფუტკარაძე

ბავშვთა სოციალური პრობლემები

ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

დედა ბარბარე მეგრელიძე

ხიჭაური 2020

ანოტაცია

ნელი ფუტკარაძის ნაშრომში „ბავშვის სოციალური პრობლემები“ განხილულია ბავშვის განათლებასა და აღზრდაზე სოციალური სფეროს გავლენის პრობლემები.

გაანალიზებულია მდგრადი განვითარების პრინციპების მიხედვით განათლება 2030 ძირითდი ხედვა ხარისხიანი განათლებისა და სოციალური პირობების ურთიერთმიმართებაზე.საერთაშორისო კვლევები ბავშვთა სიღარიბის შესახებ.

განხილულია ქუჩის ბავშვების,კანონთნ კონფლიქტში მყოფი ბავშვების სასკოლო საქმიანობაში ჩართვის პრობლემები.საუბარია ისეთ მტკივნეულ საკითხზე ,როგორიცაა თვითმკვლელობა ბავშვებში, აღწერილია სიმპტომები და მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ბავშვების დახმარების შესაძლებლობები.

ნაჩვენებია საზოგადოების მოვალეობა ,რათა ბავშვმა თავი დაცულად იგრძნოს .

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა

ბავშვთა სოციალური პრობლემების განხილვა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ჭრილში.განათლება 2030 ინჩიონის დეკლარაციისა და სამოქმედო ჩარჩოს ინკლუზიური, თანასწორი, ხარისხიანი განათლებისა და სიცოცხლის მანძილზე სწავლებისაკე.შესაბამისად განსახორციელებელი საქმიანობის განსაზღვრა რეგიონის დონეზე.

ნაშრომში გაანალიზებულია ოფიციალური დოკუმენტები პრობლემასთან მიმართებაში და უახლესი კვლევების შედეგები,რაც უკეთ წარმოაჩენს მსოფლიოს გლობალური პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვის აუცილებლობას.

აღწერილია ავტორისეული კვლევების შედეგები,დაკვირვების მასალები,მოცემულია სათანადო რეკომენდაციები.

Abstract

The work “Social Problems of the Child” by Neli Putkaradze discusses the problems of the influence of social sphere on the education and upbringing of the child.

It is analyzed the main vision of the education of 2030 on the interrelationship between quality education and social conditions according to the principles of sustainable development and International Research on Child Poverty.

It is discussed the problems of involvement in school activities of street children and the children in conflict with the law. It is described such a painful issues as suicide in children, the symptoms and the possibilities of helping children in hard situation. It is shown the duty of society to make the child feel safe.

The scientific novelty of the work is the discussion of the social problems of children in terms of achieving sustainable development goals . Education 2030 Incheon Declaration towards an inclusive, equal, quality education and lifelong learning, accordingly determining the activities to be carried out at the regional level.

The work analyzes official documents related to the problems and the results of recent researches, which present better the necessity of care to solve the global problems of the world. It is described results of the author’s research, observation materials and is given appropriate recommendations.

შინაარსი

- შესავალი..... 5-11
- თვი პირველი

  ხარისხიან განათლებაზე სოციალური სფეროს გავლენა.....11-19

§1 „განათლება -2030-ის“ ძირითადი ხედვა ხარისხიანი განათლებისა და სოციალური პირობების ურთიერთმიმართებაზე.....11-19

§2საერთაშორისო კვლევები ბავშვთა სიღარიბის შესახებ.....19-28

- თავი მეორე

  ბავშვთა აღზრდაზე სოციალური სფეროს გავლენა

§3 ქუჩის ბავშვები.....28-31

§4.1 კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები.....31-37

§4.2კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სასკოლო საქმიანობაში ჩართვის პრობლემები.....37-55

§5 საზოგადოებაში ბავშვი თავს დაცულად უნდა გრძნობვდეს....55-59

- გამოყენებული ლიტერატურა.....65

შესავალი

თემის აქტუალობა: ბავშვის სოციალური პრობლემები პედაგოგიურ მეცნიერებაში ყოველთვის იყო კვლევის საგანი.

არსებობდა მოსაზრება,რომ თუ გინდა ბავშვი სწორად აღზარდო,უნდა შეისწავლო იგი ყოველმხრივ : სახლში, სკოლაში, ქუჩაში, თანატოლებთან (ა.გობრონოვი ვ.უშინსკი და სხვები). სოციალური პრობლემა განიხილიებოდა ისეთ საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა სწავლაში ჩამორჩენა. სოციალური ვითარების გამო კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების საკითხები განხილულია სასკოლო ცხოვრებაში მათი დაბრუნებისა და ჩართვის თვალსაზრისით (ბ.ბაძაღუა ,გ.გელაძე).სასჯელმისჯილი ბავშვების სწავლისა და წესიერი ცხოვრებისაკენ შემობრუნებას პედაგოგიური თხზულება უძღვნა ა.მაკარენკომ. მოზარდის პრობლემების შესახებ კვლევები ჩაატარა ფ.დალტომ. არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა ქუჩის ბავშვების პრობლემას.

მრავალი საინტერესო ნაშრომისა და კვლევისა,ბავშვის სოციალური პრობლემები კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება.2015 წელს მიღებული განათლება 2030 ინჩიონის დეკლარაცია და სამოქმედო ჩარჩო ინკლუზიური, თანასწორი, ხარისხიანი განათლებისა და სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის , რომელიც მოიცავს განსახორციელებელ საქმიანობას 2030 წლამდე.

იგი განაპირობებს მდგრადი განვითარების მეორე მიზნის განხორციელებას,მაგრამ საფუძველს უქმნის ყველა მიზნის განხორციელებას.მხედველობაში გვაქვს 2015 წელს იუნესკოს მიერ მიღებული მსოფლიოს გლობალური განვითარების 7 მიზანი, რომელიც მოქმედებს სფეროებში: ადამიანები, პლანეტა, წარმატება, შვიდობა , პარტნიორობა.

ადამიანები, ვგეგმავთ, აღმოვფხვრათ სიღარიბე და შიმშილი ყველა ფორმასა და განზომილებაში . უზრუნველვყოთ, რომ ყველა ადამიანმა გამოავლინოს პოტენციალი ღირსეულ, თანასწორ , ჯანსაღ გარემოში.

პლანეტა-მდგრადი მოხმარების და წარმოების, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების და კლიმატის ცვლილების საპასუხოდ აქტიური მოქმედების მეშვეობით პლანეტის დაცვა ისე,რომ დაკმაყოფილდეს ახლანდელი და მომავალი თაობების საჭიროებები.

წარმატება-ყველა ადამიანისათვის წარმატებული ცხოვრების შესაძლებლობის უზრუნველყოფაა.

მშვიდობა-მშვიდობიანი , სამართლიანი , ინკლუზიური საზოგადოების ფორმირება , რომელიც თავისუფალი იქნება შიშისა და ძალადობისაგან.

პარტნიორობა -საჭირო საშუალებების მობილიზება ,რომელიც ორიენტირებული იქნება უღარიბესი ადამიანის საჭიროებებზე.

ყველა მიმართულება ეხება ბავშვის პრობლემებს ეს იქნება სიღარიბის აღმოფხვრა,ბუნების დაცვა,წარმატებული ცხოვრება ,მშვიდობიანი თანაარსებობა თუ საჭიროებების მოგვარებაზე ორიენტირება .შეიძლება ითქვას ,რომ მდგრადი განვითარების მიზნები პირდაპირ არის ორიენტირებული სოციალურ საკითხებზე ,მათ შორის უპირველეს ადგილს ბავშვის სოციალური საკითხები იჭერს.

მსოფლიოს გლობალური პრობლემები ეროვნულმა მთავრობამ თავისი ქვეყნის საჭიროების მიხედვით უნდა შეისწავლოს და იზრუნოს მისი მოგვარებისათვის.-

მსოფლიო გლობალურ პრობლემებში მკაფიოდ ჩანს 21-ე საუკუნისათვის ერთგვარად შეუფერებელი პრობლემა -სიღარიბე და შიმშილი,განსაკუთრებით ბავშვებს შორის .მწვავე პრობლემაა სკოლის გარეთ დარჩენილ ბავვშვთა დიდი რაოდენობა (57 მილიონი ბავშვი) ასევე ბავშვთა ჯანმრთელობა , დასვენება და სხვა.

ამ პრობლემებთან ერთად საყურადღებო გახდა სოციალური ყოფის ისეთი საკითხები , როგორიცაა ქუჩის ბავშვები, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები და სხვა.

აღნიშნულმა პრობლემებმა ჩემი ყურადღება მიიპყრო სასწავლო კურსის „განათლების სოციოლოგია და მედიაგანათლების პრობლემების“გავლისას . რამდენიმე აქტივობის შესრულების შემდეგ ,რასაც თნაკურსელებისგან ,მათ შორის მოქმედი მასწავლებლებისგან, მხარდაჭერა ჰპოვა ,გადავწყვიტე ამ საკითხის სიღრმისეული შესწავლა და საკვლევ თემად არჩევა.

კვლევის მიზანი:ბავშვთა განათლებასა და აღზრდაზე სოციალური სფეროს გავლენის არსებული ვითარების შესწავლოა და გაუმჯობესების გზების განსაზღვრა .

კვლევის ამოცანები:

1.ხარისხიან განათლებაზე სოციალური სფეროს გავლენის შესწავლისათვის განათლება - 2030 ძირითადი ხედვების ანალიზი.

2.ბავშვთა სიღარიბის შესახებ საერთაშორისო კვლევების შედეგების ანალიზი.

3.ბავშვთა აღზრდაზე სოციალური სფეროს გავლენის შესწავლისათვის ქუჩის ბავშვების და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სწავლაში ჩაბმის შესაძლებლობების განხილვა.

4.საზოგადოებაში ბავშვის დაცულად ყოფნის შესაძლებლობების განსაზღვრა.

5.კვლევის მეთოდები: წყაროების ანალიზი,ინტერვიუ,სამაგიდო კვლევა,შედარებითი ანალიზი,დასკვნა.

კვლევის მეცნიერული სიახლე : ბავშვთა სოციალური პრობლემების განხილვა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ჭრილში. განათლება-2030 ინჩიანის დეკლარაციისა და სამოქმედო ჩარჩოსინკუზიური თანასწორი ხარისხიანი განათლებისა და სოცოცხლის მანძილზე სწავლებისაკენ.შესაბამისად განსახორციელებელი საქმიანობის განსაზღვრა რეგიონის დონეზე.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა: შესწავლილი და გაანალიზებულია ბავშვის სოციალური პრობლემების მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით. ოფიციალური დოკუმენტებისა და უახლესი კვლევების შედეგები .

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომში მასალები წარმოდგენილია აღწერის, რეკომენდაციის, ანალიზის სახით, რაც ამაღლებს მისი პრაქტიკული გამოყენების ხარისხს.

კვლევის შედეგების გამოყენების სფერო: განათლების მიმართილების სტუდენტები, სოციალური მუშაკები, სკოლის მასწავლებლები.

კვლევის მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა: წმინდა აბუსერიძე ტბელის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა ,ზემო აჭარის საჯარო სკოლები, წმინდა აბუსერიძე ტბელის, წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლები.

ნაშრომის სტრუქტურა: შესავლის, ორი თავის, ექვსი პარაგრაფის, დასკვნების, ლიტერატურის დასახელებისაგან.

ნაშრომის აპრობაცია: ნაშრომის აპრობაციები გაეცნო მაგისტრატურის სტუდენტებს, მასწავლებლის მომზადების არუსამის სტუდენტებს,მასწავლებელთა კონფერენციას.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

პირველი თავი: ხარისხიან განათლებაზე სოციალური სფეროს გავლენა

§1 „განათლება-2030-ის ძირითადი ხედვა ხარისხიანი განათლებისა და სოციალური პირობების ურთიერთმიმართებზე

განათლება წარმოადფგენს საყოველთაო სიკეთეს ,ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას და საფუძველს სხვა უფლებების რეალიზების უზრუნველსაყოფად.ის აუცილებელი პირობაა მშვიდობისათვის ,ტოლერანტობისათვის ,კაცობრიობის შესაძლებლობის განვითარებისათის.

განათლება-2030-ძირითადი ხედვის ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების განხორციელებისათვის უმთავრესია ბავშვთა სოციალური პირობების გაუმჯობესება.

§2 საერთაშორისო კვლევები ბავშვთა სიღარიბის შესახებ

კვლევების მიხედვით ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო ყოველი მეექვსე ბავშვი მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს .მიუხედავად იმისა ,რომ გაიზარდა ოჯახების საშუალო მოხმარება,არ შეცვლილა მათი შემოსავალი.

სიღარიბის დაბალი მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია ოჯახში განათლების დონესთან, მეტი განათლება უდრის ნაკლებ სიღარიბეს.

კვლევამ სამომხმარებლო სიღარიბის ,მატერიალური დეპრივაციის ,სუბიექტური სიღარიბის და სოციალური თანასწორობის მაჩვენებლები შეისწავლა,რომლის მიხედვითაც გამოიკვეთა ,რომ სიღარიბის მაჩვენებელი შემცირდა ,მაგრამ ყველაზე დაუცველ ჯგუფად საქართველოში ისევ ბავშვები რჩებიან.

§3 ქუჩის ბავშვები

ქუჩის ბავშვად ითვლება არასრულწლოვანი,რომელიც დროის უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებს.

ქუჩის ბავშვების პრობლემა ურთულესია რასაც განაპირობებს სოციალური პრობლემების სიმწვავე ,სიღარიბე,მშობლებისაგან ძალადობა და სხვა .

ბავშვების ქუჩისაგან ასარიდებლად მსოფლიოს ქვეყნებში ბევრი რამ კეთდება ,ბავშვებს რომელთაც არ აქვთ ცხოვრების ნორმალური გარემო მოვლა-პატრონობისთვის განათავსებენ შესაბამის დაწესევბულებაში ,შემდეგ კი ბავშვის ინტერტესების შესაბამისად გადაწყვეტენ მის სამომავლო ბედს.

§4.1 კანონთნ კონფლიქტში მყოფი ბავშვები

სოციალური გარემო ხშირად წარმოშობს მანკიერებებს ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში.სამწუხაროდ, არასასურველი სოციალური გარემოსა და არასწორი აღზრდის შედეგად ყალიბდებიან დანაშაულის ჩამდენი და დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილი ბავშვები.

დანაშაულის აცილების საქმეში პედაგოგიკის როლი ხაზგასმულია .

დამნაშავედ ცნობილ ბავშვს პირველ რიგში ესაჭიროება ზრუნვა ,რათა მოხდეს მისი რეინტეგრაცია.

§4.2 კანონთან კონფლიქთში მყოფი ბავშვების სასკოლო საქმიანობაში ჩათვის პრობლემები

მწვავედ დგას პრობლემა იმასთან დაკავშირებით ,რომ არა მარტო სკოლაში,არამედ სკოლის გარეთაც იმყოფებიან კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები,რომლებიც რთულ „რისკჯგუფებს“ წარმოადგენენ. მათი რისკისაგან დაცვის გზა მიზანმიმართული პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მუშაობაა.

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სასკოლო გარემოში დაბრუნებისას გასათვალისწინებელია ორი ვითარება : ა) ბავშვი მიდის მისთვის უცნობ კლასში , ბ)ბავშვი ბრუნდება თვისივე კლასში. ორივე შემთხვევაში ბავშვის დახმარების სპეციფიკურობის გამო, სასწავლო გარემო შესაცვლელია .

სასწავლო გარემოს უპირველესი განმსაზღვრელია მასწავლ;ებლისა და მოსწავლის დამოკიდებულება.მზრუნველობით აღსავსე ურთიერთობა ,რომელიც დამყარებულია ურთიერთპატივისცემასა და გულწრფელობაზე.

§5 საზოგადოებაში ბავშვი თავს დაცულად უნდა გრძნობდეს

ადამიანი ყალიბდება იმ საზოგადოების სოციალური,,ისტორიული და კულტურული გავლენით,რომელშიც ცხოვრობს.საზოგადოებაში არსებული უკლებლივ ყველა ცვლილება პირდაპირი თუ ირიბი გზით ,იმ გარემოცვაზე აისახება ,რომელშიც ბავშვები იზრდებიან და სწავლობენ.

ბავშვის განვითარებისა და საარსებო გარემოს ფორმირებაზე გადამწყვეტ როლს ასრულებს სკოლა, ოჯახი და საზოგადოება. აქედან თითოეულს მისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია.

თავი პირველი

ხარისხიან განათლებაზე სოციალური სფეროს გავლენა

§1 დეკლარაცია განათლება -2030-ის ძირითადი ხედვა ხარისხიანი განათლებისა და სოციალური პირობების ურთიერთმიმართებაზე

განათლება -2030-ინკლუზიური თანასწორი ხარისხიანი განათლებისა და სიცოცხლის მანძილზე სწავლებისაკენ მიღებული იქნა 2015 წელის მაისში კორეის ქალაქ ინჩიონში მსოფლიო ფორუმზე,რომლშიც 160 ქვეყნის 1600-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა .

დეკლარაცია - განათლება -2030 აყალიბებს განათლების ახალ ხედვებს 2015-2030 წლების განმავლობაში.

უპირველესი ხედვა გულისხმობ ცხოვრების გარდაქმნას განათლების მეშვეობით.აღიარებულია რა განათლების მნიშვნელოვანი როლი ,როგორც განვითარების მთავარი მამოძრავებელისა.ასევე ამ ხედვას მთლიანად ასახავს მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანი „ინკლუზიური და თანასწორი ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობის ხელშეწყობა ყველასათვის“.ცხოვრების გარდაქმნა განათლების მეშვეობით გამომდინარეობს განათლების ჰუმანური ხედვიდან და განვითარებიდან ,დაფუძნებულია ადამიანის უფლებებსა და ზნეობრივ ღირებულებებზე , სოციალურ სამართლიანობაზე,დაცულობაზე,კულტურულ,ენობრივ მრავალფეროვნებაზე პასუხისმგებლობაზე.

განათლება წარმოადგენს საყოველთაო სიკეთეს,ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას და საფუძველს სხვა უფლებების რეალიზების უზრუნველსაყოფად .ის აუცილებელი

პირობაა მშვიდობისათვის ,ტოლერანტობისათვის ,კაცობრიობის შესაძლებლობის განვითარებისათვის.

აღიარებულია ,რომ განათლება წარმოადგენს გასაღებს სრული დასაქმებისა და სიღარიბის აღმოსაფხვრელად,განათლების ხელმისაწვდომად,ხარისხისა და სწავლების შედეგების მისაღწევად.

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა XXI საუკუნის პრობლემად დარჩა .მიუხედავად იმისა,რომ უმეტეს ქვეყნებშიო და მათ შორის საქართველოშიც უზრუნველყოფილია თორმეტწლიანი უფასო,სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სწავლებით,მსოფლიოში 57 მილიონ ბავშვს შეზღუდული აქვს დაწყებითიგანათლების მიღება და სკოლის გარეთ არის დარჩენილი.

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში დავინტერესდი რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით ზემო ჭარაში .ჩავატარე კვლევა ,კვლევის მიზანი იყო ზემო აჭარაში დაწყებითი სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა რაოდენობის დადგენა.

კვლევის მეთოდი: ინტერვიუ ,ანალიზი.

კვლევაში მონაწილეობდნენ: ქედის ,შუახევის, ხულოს, რესურსცენტრის წარმომადგენლები , ათი სოფლის გამგეობის წევრები.კველვა ჩატარდა 2019 წლის დეკემბერში.

კვლევის შედეგები: ზემო აჭარაში დაწყებით კლასებში სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვი არ არის .გამოიკვეთ რომ მიგრაცია დიდია,მშობლების სამუშაოდ ქალაქში გადასვლის გამო რიგ(შუახევის 12 სკოლაში პირველი კლასი არ გაიხსნა,მაგრამ ამის მიზეზი მხოლოდ მიგრაციაა.

ინფორმაციული წყაროების ანალიზით ერთ-ერთ ორგანოზაციას დაწყებული აქვს კვლევა საქართველოში სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა შესახებ. ცხრა კლასის ფარგლებში კვლევის შედეგები ამ პერიოდისათვის ცნობილი არ არის.

მსოფლიოს სტატისტიკა კვლავ მილიონობით ბავშვს აღრიცხავს ,რომელიც სკოლის ,დაწყებითი სკოლის მიღმა არის დარჩენილი (2018 წლის ცნობით).

შეიძლება ითქვას,რომ განათლება - 2030 ახალი ხედვა განათლების ხელმისაწვდომობის ვალდებულება,რომელიც გულისხმოს შეიქმნას თანმიმდევრული განათლებისა და გადასახადების შესაძლებლობები სკოლის მიღმა დარჩენილი ბაქვშვებისა და მოზარდების დიდი კონტიგენტისთვის აქტუალურია და საჭიროებს დაუყოვნებლივ ,მიზანმიმართულ მოქმედებას იმის უზრუნველსაყოფად ,რომ ყველა ბავშვი დადიოდეს და სწავლობდეს სკოლაში .

მომდევნო ხედვა არის -ინკლუზია და თანასწორობა განათლებაში ,რაც გულისხმობს სხვადასხვა ეროვნების ,რელიგიის,ეთნიკური წარმომავლობის,შეზღუდული შესაძლებლობისათვის თანაბარი სწავლის შესაძლებლობის განხორციელება.

აღსანიშნავია ,რომ ტერმინი-ინკლუზია გამოყენებულია როგორც სხვადასხვა ეროვნების ,განსხვავებული კულტურის ,სხვადასხვა შესაძლებლობების,შეხედულებების პირთა ერთად მშვიდობიან,თანასწორ გარემოში ცხოვრება,სწავლა და საქმიანობა.

ამ მიმართებით ჩავატარე კვლევა ზემო აჭარის სასკოლო განათლებაში:

კვლევის მიზანი იყო დადგენილიყო სასწავლო გარემო სხვადასხვა - ეროვნებისა და რელიგიის ოჯახების ბავშვებისათვის .

კვლევის მეთოდი - დაკვირვება

კვლევის ჩატარების დრო - 2019 წელი დეკემბერი

კვლევა განხორციელდა 11 საჯარო და ორ კერძო სკოლაში .

კვლევის შედეგები:სკოლებში ერთად სწავლობენ სხვადასხვა რელიგიის ოჯახებიდან ბავშვები.ისინი ნორმალურ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან .

განსაკუთრებით აღსანიშნავია დაკვირვების შედეგი,რომელიც მივიღე ხულოს წმინდა ბელ აბუსერიძის,წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის საქართველოს საპატრიარქოს სკოლები.აქ მოსწავლეთა უმეტესობა არის არაქრისტიანი ოჯახებიდან,მაშინ, როცა საჯარო სკოლები ორივე სკოლის მომიჯნავედ მოქმედებს და

ტერიტორიული პრობლემა არ დგას.უფრო მეტიც ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლაში მოსწავლეები არაქრისტიანი ოჯახებიდან დადიან საკმაოდ დაშორებული სოფლებიდან,მათ შორის მახუნცეთიდანაც,რომელიც 25 კმ-ია დაშორებული და მშობლებს ტრანსპორტი თავისი ხარჯით აქვთ დაქირავებული.

ორივე სკოლაში სხვადასხვა რელიგიის ბავშვებისათვის შექმნილია ინკლუზიური,თანასწორი,სიყვარულით სავსე სასწავლო გარემო.

შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისათვის არის შესაფერისი გარემო სოფელ ახალდაბის ,ხულოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის ,ქედლების ,ღურტის და სხვა სკოლებში,რაც გამოიხატება სპეც მასწავლებლის დანიშვნით და სპეციალური სამუშაო ოთახის მოწყობით.

მომდევნო ხედვა შეეხება ქალისა და ვაჟთა განათლების თანაბარ უფლებას ,ამ პრობლემას გენდერულ თანასწორობას უწოდებენ .ეს საკითხი იმდენად მოგვარებულია ჩვენს სინამდვილეში,აღვნიშნავთ მხოლოდ ,რომ წყაროების ანალიზით გასული საუკუნის დასაწყისში იდგა ზემო აჭარაში ქალთა განათლების საკითხი .

იმ პერიოდში განხორციელებული ღონისძიებებით : ქალთა ჭრა-კერვის კურსების გახსნით (სადაც წერა - კითხვასაც სწავლობდნენ) წერა - კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციით,სკოლების გახსნით 10-15 წელიწადში დაძლეულ იქნა პრობლემა.ამ მიმართებით აჭარის გამოცდილება ,რომელსაც ხელმძღვანელობდნენ აჭარაში მოღვაწე მამულიშვილები მ.აბაშიძე , გ.კაიკაციშვილი, რ.ნიჟარაძე , ა.დიასამიძე და სხვები.წმინდა ილია ჭავჭავაძის ,იაკობ გოგებაშვილის ,იოსებ იმედაშვილის ,ზაქარია ჭიჭინაძის და სხვათა დახმარებით,კარგი მაგალითია მსოფლიოს იმ ქვეყნებისათვის სადაც ქალ- ვაჯთა სწავლების და ზოგადად წერა-კითხვის აუცილებლობის პრობლემა დგას .

მომდევნო ხედვა ეს არის ვალდებულების აღება ხარისხიან განათლებაზე .იგი მოიცქავს ხარჯების გაზრდას ,პროცესების და შედეგების შეფასების გაუმჯობესებას.

აღნიშნულია, რომ ხარისხიანი განათლება წარმოადგენს შემოქმედებითი აზროვნებისა და ცოდნის საფუძველს და ასევე უზრუნველყოფს არა მარტო

წიგნიერებისა და რაოდენობრივი საბაზო უნარების შეძენას,არამედ ანალიტიკური , პიროვნრბათშორისი და სოციალური უნარების დახვეწას . გარდა ამისა ის ავითარებს უნარებს, ღირებულებებსა და ქცევის ნორმებს , რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს მისდიოს ცხოვრების ჯანსაღ წესს და იცხოვროს სრულფასოვანი ცხოვრებით.არასაკმარისად არის მიჩნეული სკოლამდელი აღზრდის არსებული ვითარება.

ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების ანალიზი გავაკეთეთ წყაროების,მათ შორის ინტერნეტ წყაროების ანალიზით.ამ მიმართულებით ახალი ეროვნული გეგმა 2018-2024 წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს.2019 წლისათვის მოქმედებს I-V კლასების და დაემატა VII კოლასების სასწავლო გეგმები.მიმდინარეობს განხილვა სხვა კლასების გეგმებიოსა ,რომელიც ამოქმედდება 2020 წლის სექტემბრიდან.

ამავე მიმართულებად განიხილება სასკოლო სახელმძღვანელოების მიმოხილვა.ეს საკითხი საყოველთაო პოლემისკის საგანი გახდა,რაც სამართლიანად მიმაჩნია.უხარისხო სასწავლო ტექსტები,მეცნიერულად არაზუსტი ინფორმაციები,ასაკისათვის შეუფერებელი დავალებები,ტერიტორიული და ეროვნული ღირებულებების არმქონე.შესასწავლი მასალა ვერ განაპირობებს ხარისხიან სწავლებას,რადგან სასკოლო სახელმძღვანელო ძირითადი სასწავლო რესურსია.

ჩემი აზრით უმჯობესია არა ალტერნატიული სახელმძღვანელოები,რომელიც ქიშპობის და ურთიერთდაპირისპირების საგანი უფროა ვიდრე ხარისხიანი სწავლების. შეიქმნას ერთი და ყოველმხრივ სრულყოფილი სახელმძღვანელო ,რომელიც ხარისხიან განათლებას შეუწყობს ხელს.

ამასთან აღსანიშნავია სახელმძღვანელოების სიძვირე,რაც სოციალური უთანასწორობის გამოვლინებაა. გავესაუბრე ,50-ზე მეტ უფროსკლასელს (IX-XII კლასები) ,რომელთაც არცცერთ კლასში ახალი სახელმძღვანელო არ ჰქონიათ,იყენებდნენ რამდენიმე წლის ნახევრად უვარგის სახელმძღვანელოებს.

ახალი სასწავლო გეგმით ყველა საგანში 2018 წლიდან ახალი სახელმძღვანელოებით დაიწყო სწავლა ,რისი შეძენის საშუალება არ ჰქონდა მოსწავლეთა 50 პროცენტს სოციალური დახმარებით მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებმა მიიღეს ,ძალიან მცირე იყო საჭიროებებთან შედარებით.

შემდეგი ხედვა არის :ხარისხიანი ,სიცოცხლის მანძილზე სწავლების შესაძლებლობების შექმნა ყველასათვის ,ყველა სტრუქტურაში და განათლების ყველა დონეზე.იგი მოიცავს პროფესიულ,უმაღლეს,ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას.ახალგაზრდებისა და ზრდასრულების დაუფლებას წიგნიერების,რაოდენობრივი უნარების შესაბამის დონეზე,ცხოვრებისეული უნარების განვითარებას ,ზრდასრულთა სწავლების,განთლების ,გადამზადების შესაძლებლობებს.

ამ მიმართებით დაკვირვებისა და წყაროების ანალიზის მეთოდის გამოყენებით მოვიპოვე ზოგადი სახის ინფორმაციები.

ზრდასრულთა განათლების მიმართულებით ჩატარებულია და ტარდება ტრენინგები.აქამდე იყო ასეთი პროცედურა : ცხადდებოდა ტრენინგი და მსურველი რეგისტრირდებოდა. მიმდინარეობა დიალოგი იმის თაობაზე, რომ სკოლები წარადგენენ შეკვეთას ,რა სჭირდებოდა მათ მასწავლებლებსა და ამის მიხედვიტ დაიგეგმება გადამზადება ტრენინგის,კურსების ან სხვა სახით.

ამავე ხედვას დაექვემდებარა მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებელი(60 კრედიტიანი) პროგრამა,რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში მესამე წელია მოქმედებს და საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს.

განათლება -2030 ახალ ხედვებში გამოხატულია დახმარება იმ ბავშვების მიმართ ,რომლებიც კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ადგილებში ცხოვრობენ ,არიან იძულებით გადაადგილებული ან ლტოლვილები.მოცემულია რეკომენდაცია ,რომ შემუშავდეს მექანიზმი ,რომელიც მოიცავს როგორც საგანგებო რეაგირებას ,ასევე რეაბილიტაციასა და რეკონსტრუქციას ,რათა სწავლების პროცესი შენარჩუნდეს ყოველგვარ პირობებში.

წყაროების ანალიზი ამ მიმართებით ძალიან მძიმე სურათს ხატავს .2019 წლის სექტემბერში „UNICEF" ინიციატივით ნიუ-იორკში გაეროს ოფისის წინ 3758 ზურგჩანთა ,რომელიც 2018 წელს კონფლიქტის ზონაში დაღუპულ ბავშვებს განასახიერებდა .ზურგჩანთა ყოველთვის იყო იმედის, ბავშვების სწავლის სიმბოლო .ამჯერად კი იგი ამაღელვებელ ფაქტს აღნიშნავდა . ავღანეთში ,ცენტრალურ აფრიკაში ,სომალის ,სამხრეთ სუდანის ,სირიის ,ერაყის და სხვა მრავალ ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტების დროს დაღუპულ და დასახიჩრებულ ბავშვებს გამოხატავდა .

აღსანიშნავია ,რომ კონფლიქტის უმრავლესობა აშშ-ს მიერაა დაწყებული და წარმართული.

ბავშვთა უფლებების კონვენციის 30 წლის იუბილე ბავშვთა დაუცველობის შემზარავი ფაქტებით აღინიშნა .

აქვე გავიხსენებთ გაეროს სხდომაზე ფრანგი 16 წლის მოსწავლის ემოციურ გამოსვლას ,რომელმაც რამდენიმე წინადადებით გამოხატა მსოფლიოს ბავშვების სათქმელი : უამრავ თანხას ხარჯავთ ქონების დასაგროვებლად ,კომპანიების გასაძლიერებლად,მაგრამ არაფერს აკეთებთ იმ კლიმატის გასაუმჯობესებლად ,რომელშიც ბავშვებმა უნდა იცხოვრონ ,პირიქით თქვენი არასწორი ქმედებით ,თქვენს ხელში დაგროვილი მილიონებით აუარესებთ მათ . სკოლაში წასვლის ნაცვლად მოვედი თქვენთან ,რომ გითხრათ თქვენ მე ბავშვობა წამართვით , მომავალი ამას არ გაპატიებთ .

პრობლემა მრავლადაა განათლება - 2030 ხედვების მიხედვით იუნესკოს მიერ მიღებულ იქნა სამოქმედო ჩარჩო 2015 წლის 4 ნოემბერს პარიზში ,რომლის მიხედვით 2015 წლიდან დაიწყო მუშაობა პრობლემათა დასაძლევად

ამგვარად ,ხარისხიან განათლებასა და სოციალური პირობების ურთიერთმიმართების პრობლემა არის განათლება - 2030 ინჩიონის დეკლარაციისა და სამოქმედო ჩარჩოს ინკლუზიური და თანასწორი ხარისხიანი განათლებისა და სოცოცხლის მანძილზე სწავლის ახალი ხედვების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი.განათლების მეშვეობით ცხოვრების გარდაქმნა ეფუძნება სოციალურ სამართლიანობას , დაუცველობას ,პასუხისმგებლობას .

განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა ზემო აჭარაში არ არსებობს და დაწყებით განათლებას იღებს ამ ასაკის ყველა ბავშვი ,მაგრამ ეს მწვავე პრობლემაა მსოფლიოსთვის. 57 მილიონ ბავშვს 9 2015 წლის მონაცემებით) შეზღუდული აქვს დაწყებითი განათლების მიღება და სკოლის გარეთაა დარჩენილი.

კვლავ ბევრია გასაკეთებელი სკოლამდელი აღზრდის გაუმჯობესებისათვის .ინკლუზია და თანასწორობა დაცულია ზემო აჭარის სკოლებში,სადაც სხვადასხვა რელიგიის ბავშვები ერთად მშვიდობიან,კეთილგანწყობილ გარემოში სწავლობენ.მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია წმინდა აბუსერიძე ტბელისა და წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლები,სადაც სხვადასხვა რელიგიის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად იღწვიან ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთებით გონებრივად განვითარებული თაობის აღზრდისათვის.

ქალისა და ვაჟის ერთად სწავლების პრობლემა ზემო ჭარაში ათეული წლებია აღარ არსებობს.ქალთა განათლებისა და წერა-კითხვის აუცილებლობის ლიკვიდაციის არსებული გამოცდილება ,რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში დაიწყო და 10 წლის შემდეგ შედეგიანად დასრულდა ,კარგი გზამკვლევი იქნება იმ ქვეყნებისათვის , სადაც ეს პრობლემა ჯერ კიდევ არსებობს .

ხარისხიანი განათლების განხორციელებისათვის ერთ-ერთ პრობლემაა სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსობრივი გაუმართაობა და სიძვირე ,რითაც იგი ძნელად ხელმისაწვდომია მოსწავლეთა დიდი ნაწილის ოჯახებბისათვის .სასწავლო წლის დასაწყისის სიხარულს აუფერულებს დარდი და ზრუნვა სახელმძრვანელოების შეძენისათვის .

ხარისხიანინ სიცოცხლის მანძილზე სწავლების გასაუმჯობესებლად მიმდინარეობს მუშაობა ,რომელიც შემდგომ გააუმჯობესებას მოითხოვს ,მხედველობაში გვაქვს მასწავლებელთა გადამზადება ,მოსწავლეთა ერთ საფეხურიდან მეორეზე გადასვლა.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ბავშვთა სიცოცხლის დაუცველობა კონფლიქტის ზონებში ,მათი სწავლის შეუძლებლობა და ცხოვრების გაუსაძლ;ისი პირობები.

განათლება -2030-ის ძირითადი ხედვის ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების განხორციელებისათვის უმთავრესია ბავშვთა სოციალური პირობების გაუმჯობესება .

§2 საერთაშორისო კვლევები ბავშვთა სიღარიბის შესახებ

ბავშვთა სიღარიბის პრობლემა ოცდამეერთე საუკუნის შავ ლაქად მიმაჩნია .იმ ვითარებაში ,როცა ინტერნეტში სოციალური ქსელები წალეკილია ინფორმაციით იმის შესახებ ,რომ ასეულობით ადამიანი ერთმანეთს ეჯიბრება შვილის ქორწილში პატარძლის რამდენიმე მილიონდოლარიანი საქორწილო კაბით შემოსვაში.მსოფლიოში დაახლოებით 800 მილიონი ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და 795 მილიონი იტანჯება შიმშილიტ (მონაცემები აღებულია ინტერნეტ წყაროდან :მდგრადი განვითარების მიზნები).

პრობლემა იმდენად დიდი და ყოვლისმომცველია ,რომ მდგრადი განვითარების მიზნები,რომელიც 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრმა ქვეყანამ მიიღო,პირველი მიზანი სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრაა,მეორე მიზანი - შიმშილის აღმოფხვრაა.

აქვე აღვნიშნავთ ,რომ მდგრადი განვითარების 17 მიზნის და 169 ამოცანის განხორციელება დაგეგმილია 2015-2030წლებში ისეთ სფეროებში როგორიცაა:ადამიანები პლანეთა ,წარმატება , მშვიოდობა ,პარტნიორობა.

მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანთან : ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის ,განვიხილეთ წინა პარაგრაფში ახალი ხედვისა და ბავშვის სოციალური პრობლემების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით .

ამ პარაგრაფში განვიხილავთ პირველ და მეორე მიზანთან დაკავშირებით ბავშვთა სიღარიბის პრობლემასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კვლევის მასალებს .

ვიდრე უშუალოდ კვლევის მასალებს განვიხილავდეთ,საჭიროდ მივიჩნიე ნაშრომში ჩამერთო ინფორმაცია პროექტის შესახებ ,რომელსაც გაეროს ბავშვთა ფონდი ახორციელებს მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც .ეს არის პროექტი „მსოფლიოს მასშტაბური გაკვეთილი“.იგი მდგრადი განვიტარების გლობალური მიზნების გაცნობას ემსახურებოდა.საქართველომ 2015 წლის 15-16 სექტემბერს ჟენევაში გამართულ მინისტერიალზე მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების განხორციელების ვალდებულება აიღო .მრავალი ღონისძიებათა შორის საქართველო ჩართულია პროექტში „მსოფლიოს მაშტაბური გაკვეთილი“,პროექტს ხელმძღვანელობდა მარიკა სიხარულიძე ,2017 წელს მსოფლიო გაკვეთუილის თემა იყო „ნულოვანი შიმშილი“ .პროექტში 30 სკოლა 400 მოსწავლე მონაწილეობდა .ერთ-ერთი კერძო სკოლის „Aia-Gecs” მეათე კლასელებმა წარმოადგინეს მათი მოსაზრებები მსოფლიოში შიმშილის აღმოსაფხვრელად.მოსწავლეებმა წინასწარ ჩაატარეს კვლევები ქუჩაში ,ქალაქში,სკოლაში ,ინტერნეტით.გაანალიზეს რა ხდება ამ მიმართულებით მსოფლიოში და რის გაკეთება შეიძლება ,რომ საკვები ჰქონდეს ყველას ,არ იყრებოდეს, არ ფუჭდებოდეს და მიეწოდებოდეს იმას ვისაც იგი ძალიან სჭირდება .(მასალა აღებულია გაზეთ „ახალი განათლებიდან 2017.12.09).

ინფორმაცია ბავშვური ხედვაა გლობალური პრობლემების გადაჭრისა , მაგრამ დამადასტურებელია იმისა ,რომ პრობლემა არსებობს ,არსებობს ყველას დასანახად და მოსაგვარებელია.

რაც შეეხება საერთაშორისო კვლევებს .იუნისეფი ყოველ ორ წელიწადში ატარებს კვლევას სათაურით „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა“კვლევა მოიცავს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიას. კვლევა დაიწყო 2009 წელს.

განვიხილავთ 2015 და 2017 წლებში ჩატარებული კვლევების შედეგების ძირითადი ამონარიდია :ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს ,ხოლო ყოველი მეექვსე ბავშვი მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს .მიუხედავად იმისა ,რომ გაიზარდა ოჯახების საშუალო მოხმარება ,არ შეცვლილა მათი შემოსავალი .ღარიბ

ბავშვებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ სრულფასოვნად ,ვიდრე მათ თანატოლებს მდიდარი ოჯახებიდან..

წარმოგიდგენთ ზოგიერთ მონაცემს 2015 წელს ჩატარებული კვლევიდან .2015 წლის მოსახლეობის კეთილდრეობის კვლევის მიხედვიუთ ,რომელიც იუნისეფმა გამოაქვეყნა,4533 გამოკითხული ოჯახის აზრით ,ტენდენცია სიღარიბის კვლევისკენ მიდის ,თუმცა ეს ტენდენცია არ აისახება ღარიბ ბავშვებზე და მათ 2.5 %-ს უკიდურეს სიღარიბეში უწევს ცხოვრება .იმ შემთხვევაში თუ ბავშვები არ მიიღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას ,მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება და საერთო რაოდენობის 8.9%-მდე აიწევს .როგორც ექსპერტები აღნიშნავენ ,მიზნობრივი სოციალური დახმარება ყველაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს ბავშვთა სიღარიბის შესახებ.

კვლევამ სამომხმარებლო სიღარიბის ,მატერიალური დეპრივაციის ,სუბიექტური სიღარიბის და სოციალური თანასწორობის მაჩვენებლები შემცირდა ,მაგრამ ყველაზე დაუცველ ჯგუფად საქართველოში ისევ ბავშვები რჩებიან .

ქვეყანაში სიღარიბის დაბალი დონე განსაკუთრებიოთ უფრო მაღალი იმ ოჯახებშია ,სადაც ბავშვები ჰყავთ .განსხვავებაა ქალაქსა და სოფლად მცხოვრებ ოჯახებს შორისაც და ბავშვთა სიღარიბის დონე 50%-ით უფრო მაღალია სოფლად ,ვიდრე ქალაქში.კვლევის უახლესი მონაცემემების თანახმად ,ოჯახების საშუალო შემოსავალი 2013-2015 წლებში არ გაზრდილა ,მოხმარების საშუალო მაჩვენებელი კი გაიზარდა.ხალხი ხარჯავს მეტს ,მაგრამ არ აქვთ მეტი შემოსავალი.

უკიდურესი სიღარიბე შემცირდა ,2013 წელთან შედარებით,3.9-დან 2.1 პროცენტამდე მოსახლეობაში ,ხოლო 6-დან 2,5 პროცენტამდე ბავშვებში .

სიღარიბის დაბალი მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია ოჯახში განათლების დონესთან ,მეტი განათლება უდრის ნაკლებ სიღარიბეს .კვლევაში გამოკვეთილია სიღარიბის მაჩვენებლების გავლენა ბავშვის განვითარებაზე და მათ შორის იმ სხვაობაზეც ,რაც ქალაქსა და სოფლად მცხოვრებ ბავშვებს შორისაა.კვლევაში ჩართული 5-9 წლის ბავშვების 62.3% დადიოდა საბავშვო ბაღში . ეს მაჩვენებელი გაზრდილია წინა კვლევასთან შედარებით ,რადგან 2013 წლის კვლევის მაჩვენებლებით 57.9%

იყო.საბავშვო ბაღის თითქმის, ყველა აღსაზრდელი სახელმწიფო საბავშვო ბაღში დადის. სამწუხაროდ ,სოფლებში ბავშვებს 18% ვერ იღებს სკოლამდელ მომსახურებას საბავშვო ბაღის შენობების არარსებობის ან დაწესებულებებში თავისუფალი ადგილის არქონის გამო.ინფრასტრუქტურის არარსებობის შემთხვევები სოფლებში უფრო ხშირია(20.7%) ,ვიდრე ქალაქებში (1.9%).

ძალიან კარგი მაჩვენებლები გამოვლინდა იმ თვალსაზრისით , რომ ბავშვების 83.3% უფროსებთან ერთად იყო ჩართული სკოლამდელი განათლების აქტივობებში ,რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბავშვთა სწავლისა და სკოისათვის მომზადების პროცესს.ბავშვებთან დაკავშირებულ აქტივობებში ყველაზე მაღალი 100%-იანი ჩართულობა სამეგრელოში დაფიქსირდა ,ყველაზე დაბალი კი მცხეთა - მთიანეთში - 66.1%.სამწუხაროდ ,სიღარიბის კვალი იკვეთება საბავშვო წიგნების ხელმისაწვდომობაზეც და კვლევის მიხედვით ,საქართველოში 35 დან 59 თვის ჩათვლით ,ბავშვების მხოლოდ 58% აქვს სამი ან მეტი საბავშვო წიგნი .მკვეთრი სხვაობა დაფიქსირდა ,საბავშვო წიგნებზე ხელმისაწვდომობის კუთხით ქალაქსა და სოფლად მცხოვრებ ბავშვებს შორისაც.ქალაქში მცხოვრები ბავშვების 73,7%-ს მიუწვდება ხელი საბავშვო წიგნებზე,ხოლო სოფლად მცხოვრები ბავშვების მხოლოდ 40.4%-ს .ამასთან ერთად ,ბავშვის ადრეულ ასაკში განვითარების ინდექსის მიხედვით , 3-დან 5 წლამდე ბავშვების მხოლოდ 88.4% ვითარდება სწორად.

რაც შეეხება სკოლაში სიარულს ,ამ მხვრივ არანაირ განსხვავებას არ გვაძლევს ღარიბ და მდიდარ ფენის წარმომადგენელი ბავშვებოის სასწავლებელი ადგილი,განსხვავებებს მხოლოდ მათი სოციალური სტატუსი განსაზღვრავს - მდიდარი ფენის წარმომადგენელ ბავშვთა 96% დადის სკოლაში ,ხოლო ღარიბ ბავშვთა -79%,სკოლაში ქალაქებში 12-18 წლის ასაკის ბავშვთა 95% სწავლობს ,ხოლო სოფლად 87.7%.მკვეთრი განსხვავება ფიქსირდება უმაღლეს განათლებაში ,უმაღლეს სასწავლებლებში ღარიბი ოჯახებიდან მხოლოდ 16% - ს შეუძლია მიიღოს რაიმე სახის განათლება მაშინ,როცა ეს მაჩვენებელი მდიდრებში 62%-ს აღწევს.

მონაცემები გვიჩვენებს რომ ოჯახების 38%-ში 16 წლამდე ასაკის ერთი ბავშვი მაინც ცხოვრობს .ამ ბავშვებისთვის სიღარიბის მაჩვენებელმა დაიკლო თუმცა ბავშვები კვლავ ,უფრო მეტად დგანან სიღარიბის წინაშე , ვიდრე ზოგადად მოსახლეობა.

კვლევის მიხედვით მოსახლეობაში გაზრდილია სუბიექტური სიღარიბე.ოჯახების თქმით ,ვერ უზრუნველყოფენ საკუთარ თავს საკმარისი საკვებით ან ცუდად იკვებებიან ,მათ ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება . მოსახლეობის 36%- ს მიაჩნია რომ ღარიბია ,თუმცა რეალურად თუკი მატერიალური სიღარიბის მაჩვენებლებს შევადარებთ , დავინახავთ , რომ ყველა ჯგუფი იმაზე ბევრად უფრო პესიმისტურად აფასებს საკუთარ მდგომარეობას ,ვიდრე მათი სამომხმარებლო სიღარიბის მაჩვენებელია .“ეს კიდევ ერთხელ აჩენს კითხვას - კვლავაც ასახავს თუ არა რეალურ მდგომარეობას სიღარიბის საზომად წინა წლებში გამოყენებული ფულადი ზღვრები.“

2015 წლის უმთავრეს პრობლემას ოჯახები ,ყველაზე ხშირად, ოჯახის წევრების უმუშევრობას და მედიკამენტების ყიდვას ასახელებენ .მესამე ყველაზე ხშირად დასახელებულ პრობლემად ,საბანკო სესხების დაფარვა იქცა.

„მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქვეყანაში დადებითი ტენდენციაა,ბავშვები ჯერ კიდევ ისევ ყველაზე გარიყული ჯგუფია.მათ,სამწუხაროდ,ნაკლებად ეხებათ ის პიოზიტივი,რაც მოსახლეობის სხვა ჯგუფისთვისაა,არადა ცალსახაა ,რომ პირიქით უნდა იყოს,იმიტომ რომ, ბავშვები ყველაზე მეტად ძარალდებიან სიღარიბით ,მატ ყველაზე ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა სიღარიბის ეფექტი გამოასწორონ.“

კვლევის მიხედვით ,2017 წელს ,სიღარიბის მაჩვენებელი , 2015 წელთან შედარებით ,უფრო გაიზარდა და ეროვნულ დონეზე შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 4,3%, მოსახლეობის 5 , ბავშვების 6,% და პენსიონერების 3,7% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს .მიუხედავად იმისა ,რომ სოციალური დახმარებები უფრო მიზნობრივი გახდა და სისტემა უკეთ ხედავს ბავშვებიან ღარიბ ოჯახებს ,ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი უფრო გაიზარდა ,ასევე გაიზარდა სიღარიბის დონე მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის,თუმცა ,კვლევაში ვკითხულობთ,რომ მოსახლეობისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა ჯანდაცვის მომსახურებები;

ასევე,შემცირტდა სხვაობა სოფელსა და ქალაქს , მდიდარ და ღარიბ მოსახლეობას შორის ,სკოლამდელ დაწესებულებეში ჩართულობის თვალსაზრისით ,მაგრამ საბავშვო ბაღების არარსებობის გამო დაახლოებით 14000 ბავშვი კვლავ ვერ დადის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში-ეს არის შედეგები ,რომელიც იუნისეფმა საზოგადოების წინაშე წარმოადგინა .

ბავშვის კეთილდღეობის უფრო კონკრეტული მონაცემები კიდევ უფრო არასახარბიელოდ გამოიყურება თუმცა არის წინსვლაც 33,4 %-ს ჰყავს მინიმუმ ერთი 16 წლამდე ასაკის ბავშვი. ბავშვებიან ოჯახების 50% სოფლად ცხოვრობს .ბავშვების მატერიალური საცხოვრებელი პირობები ,ხანგრძლივი მოხმარების საქონლის არსებობის თვალსაზრისით ,გაუმჯობესდა ,იმ ბავშვთა წილი კი ,რომლებიც ცუდ პირობებიან საცხოვრებლებში ცხოვრობენ საგრძნობლად შემცირდა .ასევე,შემცირდა ბავშვებში სუბიექტური სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის დონე თუმცა ,2017 წლის მაჩვენებლების საფუძველზე განსაზღვრული სიღარიბის დონე გაიზარდა .

გარდა ამისა, სოფლად მცხოვრები ბავშვების 4,1% ცხოვრობს შინამეურნეობებში , სადაც ხელი არ მიუწვდებათ სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროზე. არასათანადო სანიტარული მოწყობილობების მქონე შინამეურნეობაში ქქალაქად ბავშვებისდ 9,3% ცხოვრობს , სოფლად კი- 32,9% .ოჯახები , რომლებსაც ბავშვები არ ჰყავთ ,თვეში საშუალოდ ,სოციალური დახმარების სახით ,ერთ ზრდასრულ პირზე 122,8 ლარს იღებენ ,მაშინ ,როცავ ბავშვებიანი შინამეურნეობების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 50,5 ლარია .ბავშვებიან ოჯახების საშუალო ხარჯი კი,იმ ოჯახებთან შედარებით ,რომელთაც ბავშვები არ ჰყავთ,53%-ით მაღალია.

თუ რა გავლენას ახდენს სიღარიბე განათლებაზე როგორც აღვშნეთ ,საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობა გამოიკვეთა სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით .მაგალითად, საბავშვო ბაღების არარსებობის გამო ,დაახლოებით,14000 ბავშვი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ვერ დადის -2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედვით ,3 დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების 63,7% დადიოდა საბავშვო ბაღში .მათი აბსოლუტური უმრავლესობა

სახელმწიფო ბაღებში დადიოდა .ზოგადად, ქალაქში საბავშვო ბაღებში 3-5 ბავშვების უფრო დიდიპროცენტული წილი დადიოდა ,ვიდრე სოფლად (78% და 51%). განსხვავებული სურათია ოჯახების უმდიდრეს მეხუთედსა და უღარიბესი შინამეურნეობების მეხუთედს შორისაც. მდიდარი ოჯახების 3-5 წლის ბავშვების თითქმის 64% დადიოდა საბავშვო ბაღში ,მაშინ ,როცა ამ მაჩვენებელმა ღარიბი ოჯახების ოჯახების ბავშვების 57,7% შეადგინა.

3-5 წლის ბავშვებისის მთლიანი რაოდენობის 8,9% სკოლამდელი აღზრდის დაწესებულაში იმიტომ არ დადიოდა ,რომ მათ რაიონებში საბავშვო ბაღები არ იყო.

სკოლამდელ განათლებას სერიოზულ პრობლემას უქმნის ინფრასტრუქტურის არარსებობა და ეს ფაქტორი უფრო მეტად დამახასიატებელია სოფლისთვის (16,8%) ასევე პრობლემას წარმოადგენს არსებბულ საბავშვო ბაღებში ადგილების სიმცირე ბავშვების მთკლიანი რაოდენობის თითქმის ,5,1% სწორედ ამის გამო ვერ იღებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში განათლებას .

რაც შეეხება სავალდებულო განათლების საფეხურზე სკოლაში დასწრების მაჩვენებელი 97%-ია .ამის მიუხედავად ,15 დან 18- წლამდე ასაკის მოზარდებიდან ,ყოველი მეხუთე ღარიბიბავშვი აღარ იღებს განათლებას . განსხვავება კიდევ უფრო აშკარტა ხდება 18 წლის ასაკის ზევით,როდესაც ღარიბი ოჯახების ბავშვები საგანმანათლებლო დაწესებულებებს ტოვებენ. სხვადასხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა გრძელებს უღარიბესი კვინტილის 20 წლის ბავშვების თითქმის 5% და უმდიდრესი კვინტილის 77%.

გამოკვეთილი პრობლემებიდან მნიშვნელოპვანია საბავშვო წიგნებზე ხელმისაწვდომობა.ყველაზე ღარიბი ოჯახების ყოველი 10 ბავშვიდან 6-ს არ აქვს,ან საერთოდ არ აქვს,ან საერთოდ არ მიუწვდება ხელი საბავშვო წიგნებზე.

ქვეყანაში ზოგადად გაუმჯობესებული მონაცემების მიუხედავად ,იუნისეფის წარმომადგენლები ,ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით,ახალ გამოწვევებზე საუბრობენ ,რადგან ქვეყანაში ჯერ კიდევ ოველი მე-5 ოჯახი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს , ყოველი მე-6 ბავშვი კი საარსებო მინიმუმზე ნაკლებს

მოიხმარს .მნიშვნელოვანია ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებლის შემცირება ,მაგრამ, ჩვენი კვლევის მიხედვით ,ბავშვები კვლავ დაუცველ ჯგუფად რჩებიან .ბავშვებს ,რომლებიც ცხოვრობენ სიღარიბეში ,განათლებაზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი .ამიტომ მათ მეტი ყურადრება უნდა მიექცეს. ძალიან მნიშვნელოვანია მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამების არსებობა და მეტი ინვესტიცია ოჯახების გაძლიერებისთვის.

„მიუხედავად იმისა,რომ ქვეყანაში ზოგადად დადებითი ტენდენციაა ,ბავშვები ჯერ ისევ ყველაზე უფრო გარიყული ჯგუფია და , სამწუხაროდ . მათ ნაკლებად ეხებათ ის პოფგცგფზიტივი ,რაც მოსახლეობის სხვა ჯგუფებისთვისაა, არადა, ცალსახაა , რმ ეს პირიქით უნდა იყოს“.

ბავშვთა სიღარიბის შემცირებაზე დიდი გავლენა სწორედ მიზნობრივ სოციალურ დახმარებასა და ბავშვიდს დანამატს აქვს ,რომელთა გარეშე ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე 13,1 პროცენტამდე გაიზრდებოდა.სოციალური ფონის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად სახელმწიფო სხვადასხვა პროგრამების განხორციელებას მომდევნო წლებშიც გეგმავს,რაც ბუნებრივია,მოსახლეობის სოციალურ ფონზე აუცილებლად აისახება.

„მოსახლეობის კეტილდღეობის კვლევა“ საქართველოში ,2009 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და ეს არის გამოკითხვა რომელშიც 2017 წელს 50000-მდე ოჯახმა მიირო მონაწილეობა .კვლევა იძლევა მნიშვნელოვან მონაცემებს წ,რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ინფორმირებული სისიტემური ცვლილებების განხორციელება. როგორც გაეროს ბავშვთა ფონდში აცხადებენ ,2013 წლის კვლევის გამოქვეყნებას სახელმწიფო დონეძე მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის სტრუქტურული რეფორმა მოჰყვა .შედეგად კი, დღეს ქვეყანაში სწორედ 2013 წლის კვლევის შედეგად შემოთავაზებული ერთ-ერთი მოდელი მოქმედებს თუ რა ცვლილებებს განახორციელებს სახელმწიფო მოსახლეობაში სიღარიბის დასაძლევად ,განსაკუთრებით ბავშვთა სიღარიბის მიმართულებით ,როგორც ჩანს ,საზოგადოება ,ორი წლის შემდეგ ისევ კვლევებით შეიტყობს.

ამრიგად საერთაშორისო კვლევების მიხედვით 2015 წლის მონაცემებით სიღარიბის ზღვარს მირმა საქართველოში ცხოვრობს ყოველი მეხუთე ბავშვი.

ბავშვიანი ოჯახების 46% სოფლებში ცხოვრობს ,ამის პარალელურად ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი 50% უფრო მაღალია სოფლებში ქალაქთან შედარებით .

მიუხედავად იმისა,რომ 2015 წლისთვის გაზრდილი იყო ოჯახების საშუალო მოხმარება ,არ შეცვლილა შემოსავალი და ბავშვები კვლავ სიღარიბის ზღვარს მირმა რჩებოდნენ.

2017 წლის კვლევების შედეგებმა აჩვენა ,რომ მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელი.შემოსავლის რეალური ზრდის გამო ,ხალხი ნაკლებად მიიჩნევს თავს ღარიბად .

კვლევის მიხედვით ბავშვები კვლავ დაუცველ ჯგუფებად რჩებიან,ისინი მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ჯგუფს განეკუთვნებიან .

ბავშვთა სიღარიბის შემცირებაზე დიდ გავლენას ახდენს მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვის დანამატის პროგრამები.

საბავშვო ბაღებში დასწრებასთან დაკავშირებით შემცირდა სხვაობა ღარიბ/მდიდარ, ქალაქად/სოფლად მცხოვრებ ბავშვებს შორის.

ღარიბ ოჯახებში მცხოვრებ 3-5 წლის ასაკის 10 ბავშვიდან 6-ს საბავშვო წიგნები საერთოდ არ აქვთ ,ან აქვთ არასაკმარისი რაოდენობით.

ღარიბი მოსახლეობის 15-18 წლის ასაკის ყოველი მეხუთე ბავშვი აღარ არის ჩართული საგანმანათლებლო სისტემაში.

2017 წლის კვლევის შედეგები გახდა საფუძველი ახალი მიდგომებისა ,მხედველობაში გვაქვს სკიოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაზრდა სოფლად და გადასახადების შემცირება .უფასოდ სახელმძრვანელოების მიწოდების რაოდენობის ზრდა .

საერთაშორისო კვლევების შედეგები ხელს უწყობს ბავშვთა სიღარიბის ვითარების დადგენის სხვადასხვა მონაცემების მიხევით ,რაც შესაძლებლობას ქმნის მიზნობრივად დაიგეგმოს ბავშვთა სიღარიბის აღმოფხვრისათვის საქმიანობა ყველა დონეზე : საზოგადოების რეგიონის ,სახელმწიფო დონეზე.

§3 ქუჩის ბავშვები

ქუჩის ბავშვად ითვლება არასრულწლოვანი,რომელიც დროის უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებს.

ქუჩის ბავშვების პრობლემა ურთულესია, რასაც განაპირობებს სოციალური პრობლემების სიმწვავე,სიღარიბე ,მშობლებისაგან ძალადობა და სხვა.

ქუჩაში ბავშვი ან თავად აღმოჩნდება ან მშობლებს მიჰყავს.ისინი ადრიდანვე ეჩვევიან საარსებო ლუკმა-პურის ძიებას ან მათხოვრობით ან დროებითი შრომით.ქუჩის ბავშვებს სიცოცხლისთვის ბრძოლა უხდებათ , ბრძოლა არც თუ ისე იშვიათად მათ საზიანოდ მთავრდება .

ქუჩის ბავშვების პრობლემა უძველესია . საკითხით დაინტერესება ვლინდება პედაგოგიკის კლასიკოსთა შრომებში .განსაკუთრებით აღსანიშნავია ა.მაკარენკოს შრომები. ა. მაკარენკომ თავისივე გამოცდილებაზე დაყრდნობილი თეორიით გაამდიდრა პედაგოგიური მეცნიერება და პრაქტიკა მოქალაქეობრივი აღზრდის დარგში.

ქუჩის ბავშვების პრობლემა მთელი სიმწვავით წარმოიშვება ომის შედეგად მაგალითად ,მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაიზარდა უმეთვალყურეო ბავშვთა რიცხვი . 1942 წლის იანვარში სახკომსაბჭოს მიერ შეიქმნა ბავშვთა მეთვალყურეობასთან ბრძოლის კომისიები ,საბავშვო სახლები ,სკოლა ინტერნატები და სხვა .აღნიშნულმა ვითარებამ ანარეკლი საქართველოშიც ჰპოვა ,როგორც საბჭოთა კავშირის შემადგენელ ქვეყანაში.

უნდა ითქვას,რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად ბევრი ბავშვი გადაურჩა ქუჩის მაწანწლობას .სასტიკად იკრძალებოდა არასრულწლოვან ბავშვთა შრომა ,გაკვეთილების პერიოდში სკოლის გარეთ,ქუჩაში ყოფნა,თუნდაც მშობლებთან ერთად.

ბავშვის ქუჩისაგან ასარიდებლად მსოფლიოს ქვეყნებში ბევრი რამ კეთდება.ბავშვებს რომელთაც არა აქვთ ცხოვრების ნორმალური გარემო მოვლა-პატრონობიოსთვის განათავსებენ შესაბამის დაწესებულებაში ,შემდეგ კი ბავშვის ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტენ მის სამომავლო ბედს .

მიუხედავად ყურადღებისა და მზრუნველობისა ,სამწუხაროდ მწვავდება პრობლემა. წლის სხვადასხვა პეერიოდში შესწავლის საფუძველზე გაირკვა ,რომ ასეთი ბავშვების რიცხვი ზაფხულში იმატებს .გავესაუბრეთ 32 ქუჩს ბავშვს . 6-14 წლის ასაკის .ძალიან შემაშფოთებელი და ამაღელვებელი იყო გამოკითხვის ანალიზი:გულგრილი,მოშლილი ფსიქიკის,მოურიდებელი,არაბავშვური ქცევის ბავშვები და მაინც ამაყები,მომნდობნი და თავისებურად კეთილები.6-12 წლის ასაკში მათი ცხოვრებისკენ შემობრუნება გაცილებით ადვილია , ვიდრე შემდგომ.

ქუჩის ბავშვების პრობლემაზე სხვადასხვა პროგრამა მუშაობს , მათ შორის: ა) პროგრამა იმ ბავშვებისთვის ,რომელთაც ოჯახთან მუდმივი კავშირი აქვთ . ბ) პროგრამა იმ ბავშვებისთვის ,რომელთაც ოჯახთან ეპიზოდური კავშირი აქვთ . გ) პროგრამა იმ ბავშვებისთვის ,რომელთაც ოჯახი არა აქვთ ან მიტოვებული არიან .ამ პროგრამების ძირითადი მიზანია იზრუნონ ბავშვებისათვის სრულფასოვანი აღზრდის პირობების შესაქმნელად.ისეთი პირობებისა ,სადაც მათი ფიზიკური ,ემოციური და სოციალური პირობები დაკმაყოფილებული იქნება .საამისოდ ერთ-ერთი გზაა სარეაბილიტაციო ცენტრები , სადაც მაქსიმალურად შენარჩუნებულია კავშირი ბავშვსა და ოჯახს შორის.

ქუჩის ბავშვებს სიცოცხლისთვის ბრძოლა უხდებათ და ამ ბრძოლაში მათი დამხმარე სოციალური მუშაკები ,პედაგოგები და ფსიქოლოგები თუ არ აღმოჩნდნენ ,ქუჩის ჭაობი ჩაძირავთ.

ევროკავშირის მხარდაჭერით გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) წარმოადგენს 2018 წლის კვლევას ქუჩის ბავშვებთან დაკავშირებით .კვლევა განხორციელდა გაეროს

ბავშვთა ფონდის მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა , შრომის , ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან , შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სხვა ოფისებთან ერთად. კვლევა ჩაატარა ნორვეგიულმა ორგანიზაციამ FAFO.

კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ფენომენისა და მათთან დაკავშირებული ინსტიტუციური სისტემების უკეთ შესწავლას ,რათა შემუშავდეს რეკომენდაციები და დაინერგოს პრევენციული ზომები.

კვლევამ აჩვენა , რომ ბავშვები ჯგუფებად იკრიბებიან და ერთად მოძრაობენ ,რომ ერთმანეთი დაიცვან .ზოგიერთ ჯგუფს ისეთი სტრუქტურა აქვს,რომელიც ბავშვებს უპირატესი სტატუსის მქონე ბავშვებად და დაქვემდებარებულ ბავშვებად ყოფს.უფროსი ბავშვები, უმცროს ბავშვებს,რომლებსაც ჯერ არ შეუსრულდათ 14 წელი ან დაქვემდებარებულ ბავშვებს კარგად იყენებენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით ,დანაშაულის ჩადენას აიძულებენ და ამ გზით მიღებულ შემოსავალს ართმევენ .

კვლევის ზედამხედველობისა და შესაბამისი რეკომენდაციების აღების მიზნით ,შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო ,რომლის წევრებიც , ძირითადად პარტნიორებთან ერთად ,არიან იუსტიციის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო , შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, სახალხო დამცველის აპარატი და ორგანიზაცია „გადავარცინოთ ბავშვები“ .

სამეთვალყურეო საბჭომ შეიმუშავა კონკრეტული რეკომენდაციები .ერთ-ერთი მთავარი რეკოპმენდაციააბავშის ქუჩაში მოხვედრის პრევენციის მიზნით ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების შექმნა.

ასევე აუცილებელია აქრსებული მომსახურებების გეოგრაფიული არეალის გაზრდა და ახალი სერვისების შექმნა აჭარაში.

ამრიგად, ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის უფლება და არ უნდა უხდებოდეთ გადარჩენისთვის ბრძოლა .სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს და უზრუნველყოს მათი უფლებები .

§4.1 კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები

საგანმანათლებლო დაწესებულებებში,ასევე , იმ დაწესებულებებში ,რომელთათვისაც სწავლება და არზრდა არ წარმოადგენს ძირითად ფუნქციას ,მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო მუშაობენ ბავშვებთან დაკავშირებულ პრობლემებზე ,განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის საკითხების განხილვა როგორც პედაგოგიური , ასევე იურიდიული თვალსაზრისით.

პიროვნების ფორმირება და სოციალურ ურთიერთობებში მისი ჩართვა მიმდინარეობს როგორც ორგანიზებულ პედაგოგიურ, ასევე , სტიქიურ გარემოში ,ისინი ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე ,რაც შეიძლება ერთ შემთხვევაში ხელის შემწყობ , მეორე შემთხვევაში კი დამაბრკოლებელ ფაქტორად მოგვევლინოს.

სოციალური გარემო ხშირად წარმოშობს მანკიერებებს ბავშივის აღზრდასა და განვითარებაში,სამწუხაროდ ,არასასურველი სოციალური გარემოსა და არასწორი აღზრდის შედეგად ყალიბდებიან დანაშაულის ჩამდენი და დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილი ბავშვები.

წყაროების ანალიზი და რეალური ვითარების შესწავლა ცხადყოფს, რომ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ბოლო პერიოდში უპირატესობა ენიჭება პედაგოგიურ საშუალებების გამოყენებას . ა. ალექსევი (1984) მიუთითებს ,რომ არის საფუძველი ვისაუბროთ არა მარტო პედაგოგიკურ ფრაგმენტებზე, დანაშაულების აცილების ნიუნსზე, არამედ კონკრეტულ პედაგოგიკურ საფუძველზე.

პედაგოგიკის მნიშვნელობა კრიმინოლოგიაში საკმაოდ აშკარაა, თუმცა საჭიროა მათი დამაკავშირებელი რგოლებისა და შემადგენელი ელემენტების ღრმად შესწავლა ,- აღნიშნავენ ნ. დუბიანინი, ი. კარპეცი, ვ. ვუდრავსევი (1982).

დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში პედაგოგიკის როლი ხაზგასმულია ა. სტოლიარენკოს ნაშრომში „იურიდიული პედაგოგიკა „

პრვენციული პედაგოგიკის საკითხებს მიეძღვნა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მალხაზ ბაძაღუას(2008) გამოკვლევები .იგი აღნიშნავს , რომ აღზრდის დეფექტი კრიმინოლოგების მიერ დიდი ხანია აღიარებულია კანონსაწინააღმდეგო ქცევის გენეზისში. დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება უფრო მარტივია, ვიდრე შედეგების დაძლევა , და გამოყოფს პრევენციული პედაგოგიკის რამდენიმე ფუნქციას , რომლებიც დამახასიათებელია პრაქტიკაში პედაგოგიური პროფილაქტიკისათვის . მათ შორისაა მეთოდური ფუნქცია - აღზრდის მეთოდების , ხერხების, საშუალებების, ფორმების , ტექნოლოგტიების საგულდაგულოდ , დეტალური დამუშავება და გამოყენება , რაც უზრუნველყოფს პედაგოგიური შესაძლებლობების სრულ და მართებულ რეალიზაციას პრაქტიკულ მუშაობაში.

განსაკუთრებულ ადგილს იჭერს „პენიტენციალური პედაგოგიკა'' , რომელიც განსაზღვრავს დამნაშავეთა ხელახალი აღზრდა -გამოსწორების გზებს და საშუალებებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, 2008 წლის 1 ივლისიდან არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი დანაშაულის საქმისწარმოების ახორციელებენ მხოლოდ ის მოსამართლეები , პროკურორები და გამომძიებლები რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში .

დამნაშავედ ცნობილ ბავშვს პირველ რიგში ესაჭიროება ზრუნვა ,რათა მოხდეს მისი რეინტეგრაცია.

მართლმსაჯულების საუკეთესო სისტემა არის იმ ქვეყანაში ,სადაც ბავშის კონტაქტი პოლიციასთან , სასამართლოსთან და საპატიმროსთან არის მინიმალური .პოლიციასთან ურთიერთონა დაკავების ,გასამართლების გზით, ბავშვებზე სერიოზულ გავლ;ენას

ახდენს.მან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბავშვის განათლებაზე, ოჯახურ ცხოვრებასა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე .

დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში მოკვლეული სტატისტიკურ მონაცემები ცხადყოფს , რომ იმ ბავშვებს ,რომელთაც სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ, რეციდივის ყველაზე დიდი მაჩვენებელი აქვთ.ასეთი ბავშვების თითქმის 80% ხელმეორედ ჩადის დანაშაულს.

„ბავშვის უფლებათა კონვენცია“(1989) ავალდებულებს სახელმწიფოებს , რომ ცნონ ბავშვთა უფლებები, რომელთაც შესაძლოა დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა , ბრალი ედებათ ან აღიარებულია მის დამრღვევათ. ასეთ ბავშვებთან მიმართებაში სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის ღირსების დაცვას ,საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის განვითარებას , განუმტკიცდეს ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებისადმი პატივისცემა.

ბავშვებისათვის თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოვიყენოთ , როგორც უკიდურესი ზომა სასჯელის ვადაც მინიმალური უნდა იყოს,- ამბობს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი თიმას ჰამრბერგი(2006) დასძენს ევროპა ,რომ;ლიოს შენებაც ჩვენ ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად გვსურს ,იმ ბავშვებსაც გულისხმობს , რომელთა ცხოვრებაც ცუდად დაიწყო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცი8ამ სახელმწიფო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1990 წელს შეიმუშავა „ ერ რიადის წესების “ სახელწოდებით.

ერ რიადის წესების თანახმად , პრევენციული პოლიტიკის გატარება გულისხმოსბს კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას , რაც სახელმწიფო პრიორიტეტად უნდა იქნეს აღიარებული და მასში ჩართული უნდა იყოს სახელმწიფო სამსახურები,სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები , საზოგადოება . მთავარი ბავშვის უფლებების , ინტერესებისა და კეთილდღეობის დაცვაა.

გაეროს ბავშვთა ფონდი (unicef) სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფაში , რომლის ერთ-ერთი მიზანი ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების განვითარებაა.

აღსანიშნავია რომ 2009 წლის 1 მარტიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე ბაღუმის მუნიციპალიტეტში მოქმედებდა პროგრამა „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რეაბილიტაცია“ , ამ პროგრამაში ჩართული 18 ბენეფიციარის შემთხვევაში , კანონდარღვევის არც ერთი შემთხვევა არ გამოვლენილა .

საგულისხმოა ,რომ საქართველოს კანონიო „ზოგადი განათლების შესახებ“ (2005) ითვალისწინებს ისეთ ქმედებებს , როგორიცაა „დისციპლინური გადაცდომა“, „დისციპლინური დევნა“, „დისციპლინური სახდელი“.

აღსანიშნავია ,რომ „მოსწავლის ქცევის კოდექსის ახალი ვარიანტი“ (2010 წლის 30 აგვისტო) ადგენს ქცევის წესებს ,რომელთაც მოსწავლე იცავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის მიერ ორგანიზებულ ღ$ონისძიებებში მონაწილეობის დროს.

საქართველოს სკოლებში ამოქმედდა პროგრამა „ უსაფრთხო სკოლა“, რომლის ერთ-ერთი მიზანია სკოლის საქმიანობაში დისციპლინის განსამტკიცებლად ყველა არსებული რესურსის გამოყენება . პროგრამის ამოცანებში გათვალისწინებულია დისციპლინური გადაცდომის აღმოფხვრა და ძალადობის პრევენცია .

„უსაფრთხო სკოლის“ პროგრამის ფარგლებში , 2010 წლის სექტემბრიდან - 2011 წლის სექტემბრამდე პერიოდში,თბილისში ,ზუგდიდში, ქუთაისსა და ბათუმში განხორციელდა „მანდატურის სამსახურის პილოტირება“, რომელიც შემდგომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარების თვალსაზრისით , მნიშვნელოვანია „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტრატეგია“ და „სამოქმედო გეგმა“ , რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის N591 ბრძანებულების საფუძველზე ამოქმედდა.

მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვებამ მკაფიოდ წარმოაჩინა დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილი და დანაშაულის ჩამდენ ბავშვებთან მუშაობის პრობლემა . ამ მიმართულებით საკმაოდ მდიდარი ტრადიციებია როგორც პედაგოგიურ მეცნიერებაში , ასევე პრაქტიკაში. მხედველობაში გვაქ ბავშვთა დასჯის , როგორც აღზრდის მეთოდთან ზოგადად დაკავშირებული შეხედულებები. ამათგან აღსანიშნავია ა.მაკარენკოს „პედაგოგიური პოემა“, რომელშიც აღწერილია სამოქალაქო ომისი შედეგად ქუჩაში დარჩენილი , კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში შემჩნეული ბავშვების ცხოვრებიოს სასიკეთოდ შეცვლის მაგალითები. მაკარენკო იყენებდა ისეთ პედაგოგიურ საშუალებებს , როგორიცაა შრომითი აღზრდა , ნდობა , დარწმუნება, თანადგომა , წახალისება, წსრიგის დაცვა ყველაფერში , ბავშვის პიროვნების პატივისცემა.

ბავშვთა რეაბილიტაციისათვის მოქმედებდა სპპეციალიზებული სკოლები სამტრედიაში , შემდგომ კაჭრეთში. პოლიციის განყოფილებასთან გაიხსნა „ბავშვთა ოთახი“ , რომლის თანამშრომლები-პოლიციელები,უმეტესწილად ქალები , თანამშრომლობდნენ სკოლებთან და საკმაოდ კარგინ შედეგითაც .

საინტერესო მოდელია „უფროსი ძმების“ პროექტი, რომელიც თავდაპირველად დაარსდა აშშ-ში, ნიუ-იორკშიდა დღეს ეს ორგანიზაცია მსოფლიოს12-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს „რისკჯგუფს“ მიკუთვნილ არასრულწლოვანთათვის დახმარებას.

„უფროსი ძმების“ მსგავსა , რამდენიმე სახეშეცვლილი ფორმით , 2011 წლის გაზაფხულიდა საქართველოში ამოქმედდა პროექტი „უფროსი მეგობრები“.

მიუხედავად განხორციელებული საქმიანობისა , ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი , რათა თავიდან აცილებული იქნას ბავშვთა დასჯა-პატიმრობა.

სკოლის პრაქტიკაში შინაგანაწესის დამრღვევი ბავშვები მოიხსენიებიან , როგორც „ძნელად აღსაზრდელები“, თუმცა არც საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“(2005) და არც „მოსწავლის ქცევის კოდექსში“(2010) ტერმინი ძნელად აღსაზრდელი“ არ გვხვდება .

რეალურ ვითარებაზე დაკვირვების საფუძველზე , ჩამოვაყალიბეთ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების კატეგორიები:

- ✓ პოლიციის განყოფილებიდან , სასამართლოდან , პატიმრობის დაწესებულებიდან არაღმკვეთი ღონისძიების სახით განთავისუფლებული ბავშვები(თავდებობა , გირაო, მშობლის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა);
- ✓ სკოლის მოსწავლეები , რომლებიც არღვევენ სკოლის შინაგანაწესს;
- ✓ პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე მყოფი ბავშვები;
- ✓ პატიმრობის დაწესებულებაში მოთავსებული ბავშვები;
- ✓ მართლმსაჯულების სფეროს განრიდებული ბავშვები(დაზარალებულთან შერიგების გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში არმიცემულნი).

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებით სასურველი შედეგების მიღწევისთვის გასათვალიწინებელია , რომ პედაგოგიური საქმიანობა ემყარება , ერთი მხრივ , ცოდნასა და უნარების ერთობლიობას იმის შესახებ, თუ როგორ დაიგეგმოს სამომავლო, ჯერ კიდევ განუხორციელებელი სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესი მეცნიერული კვლევის შედეგების , მეთოდური რეკომენდაციების , რჩევების , მითითებების , სახელმძღვანელოს დახმარებით, მეორე მხვრივ-სინამდვილეში მიმდინარე სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ხარისხსს, რაა მიღწეული და რა პრობლემებია დასაძლევი გამოცდილებით, კვალიფიკაციის კომპეტენციის ამაღლებით.

ორივე შემთხვევაში მთავარი პირია მასწავლებელი-კლასის დამრიგებელი. მნიშვნელოვანია სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერა ,ზრუნვა , თანადგომა , კონტროლი და მატერიალური რესურსი.

არაორგანიზებულ, სტიქიურ გარემოშიც ხორციეოლდება ერთგვარი პედაგოგიური საქმიანობა იმათ მიერ , ვისთანაც ბავშვს ურთიერთობები აქვს: ასწავლიან ,მიუთითებენ , არიგებენ.

დანაშაულის ჩამდენი ბავშვები9 , რომლებიც ციხეში ხვდებიან , საერთოდ ვარდებიან ნორმალური ცხოვრების კალაპოტიდან , სულიერად უხეშდებიან და გამოუსწორებელ

ბოროტმოქმედებად ყალიბდებიან , წერს საქართველოს კათალიკოს - პატრიარქი , უწმინდესი და უნეტარესი ილია II 1997 წლის სააღდგომო ეპისტოლეში და გამოსავალს აღზრდისა და სწავლებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნაში , ბავშვთა ცხოვრების წესის შეცვლასა და შრომითი ჩვევის ჩამოყალიბებაში ხედავს.

ამრიგად პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, იურიდიული წყაროების, უახლესი საერთაშორისო კვლევების შედეგების მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ჯანსაღი ცხოვრებისკენ შემობრუნებაში დახმარებისთვის პრიორიტეტი ენიჭება მიზანმიმართულ პედაგოგიურ საქმიანობას ,როგორც სასკოლო, ასევე არასასკოლო გარემოში.

პედაგოგიურ ფსიქოლოგიური და იურიდიული თვალსაზრისით, განსაზღვრული ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება პედაგოგების , იურისტებისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მომუშავე სხვა სპეციალისტების მიერ ხელს უწყობს: ა) განისაზღვროს სასჯელის ისეთი ზომა , რომ ბავშვმა აღიქვას და გააცნობიეროს პასუხისმგებლობა ჩადენილი ქმედებისათვის; ბ) ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის შერჩეული იქნას შესაბამისი მეთოდები, ხერხები, საშუალებები.

§4.2 კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სასკოლო საქმიანობაში ჩართვის პრობლემა

წყაროების ანალიზმა (დიმიტრი უზნაძე, სულხან -საბა ორბელინი, იან ამოს კომენსკი, დევიდ პერკინსი) გვიჩვენა , რომ ასაკობრივი თავისებურებების შესახებ შეხედულებები და მოსაზრებები იცვლება ეპოქის შესაბამისად . რისი ცოდნა და გათვალისწინება საშუალებას იძლევა პედაგოგიური საქმიანობისათვის შერჩეულ იქნას ეფექტური მეთოდები და საშუალებები.

მკვლევარ გ. გელაძის მიერ ჩატარებული კვლევის(2011) შედეგების მიხედვით სამი თაობის(ბაბუა , შვილი , შვილიშვილი)რესპოდენტებს კარგად ახსოვდათ თავიანთის სკოლის მეგობრების თავისებურებები.განსაკუთრებით“ცელქი“ და „ძნელი“ ბავშვების ,

აღნიშნავდნენ ასაკის ზრდასთან ერთად კლასის დამრიგებლის მოსწავლეებთან დამოკიდებულებაში ცვლილებების ფაქტებს.

აღნიშნული კვლევის გათვალისწინებით 2019 წლის მაისში ჩავატარე კვლევა , რომლის მიზანი იყო კლასში ქცევების პრობლემების მქონე ბავშვების გამოვლენა და მათ მიმართ დამოკიდებულების გარკვევა .

კვლევის მეთოდი ინტერვიუ

კვლევის რესპოდენტები ა) 10 სტუდენტი, ბ) 10 მოსწავლე, გ) 10 მასწავლებელი

კითხვაზე : რომელ თანაკლასელს გაიხსენებთ?

კვლევის შედეგი:

ა) 10-დან 7-მა გაიხსენა „კლასის ამრევი“ მოსწავლე.

ბ) 10-დან 6-მა გაიხსენა“წესრიგის დამრღვევის“მოსწავლე.

გ) 10-დან 5-მა გაიხსენა „ცელქი“ მოსწავლე.

კითხვაზე: რა ღონისძიებები ტარდებოდა ან ტარდება „ამრევი“, „დამრღვევი“, „ცელქი“ ბავშვების მიმართ. თითქმის ყველამ გაიხსენა : საყვედური, დასჯა, თუმცა უშედეგოდ,როგორც კვლევის შედეგებიან ჩანს: ქცევის თავისებურებების მქონე ბაშვები კვლავ „ყურადღების ცენტრშია“, მათ მიმართ მხოლოდ საყვედური და დასჯა ხორციელდება, რომელიც შედეგიანობით არ ხასიათდება სხვა სახის პედაგოგიური ან ფსიქოლოგიური ღონისძიებები ნაკლებად ტარდება.

ბავშვთა დასჯის შესახებ პრობლემის გარკვევისას აღმოჩნდა , რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბავშვთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი სხვადასხვაა.ამასთან რეკომენდირებულია ბავშვის ემოციური, მენტალური , ინტელექტუალური თავისებურებების გათვალისწინება . მითითებულია , რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობლობის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი არ უნდა იყოს მეტისმეტად დაბალი.

ყველა საეთაშორისო დოკუმენტი ბავშვის თავისუფლების აღკვეთით დასჯას მიიჩნევს უკიდურეს ზომად და პრიორიტეტს ანიჭებს პედაგოგიურ საქმიანობას.

ბავშვთა დანაშაულებებისა და მათი აღმოფხვრის გზების გამოვლენის მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო პროექტით განხორციელებული კვლევების შედეგების მიხედვით დანაშულობათა ძირითად მიზეზად არასწორი არზრდაა მიჩნეული , ხოლო აღმოფხვრის უკეთეს გზად პედაგოგიური საქმიანობის გააქტიურებაა მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კათალიკოს - პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II თავის ქადაგეგებში ,ეპისტოლეებში , მიმართვებში არაერთგზის თხოვდა ხელისუფლებას, რომ არ დაესაჯათ ბავშვები თავისუფლების აღკვეთით და ისინი გადმოეცა ეკლესიისათვის , რაც უყურადღებოდ რჩებოდა ყოველთვის.

ბავშვთა დანაშაულობების აღმოფხვრის მიზნით იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც კანონის დარღვევებისკენ არიან მიდრეკილნი გარკვეული საქმიანობები ხორციელდება . მაგალითად , კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ სკოლის ადმინისტრაცია გარკვეულ კონტროლს ახორციელებს . რაიმე დარღვევის შემთხვევაში აძლევენ რჩევებს, მითითებებს ,უმეტეს შემთხვევაში ატყობინებენ უბნის ინსპექტორებს .სხვა მხვრივ მათთან პედაგოგიური საქმიანობა არ მიმდინარეობს . სკოლებში მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება მანდატურის სამსახურს , სადაც ძირითადად პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ მიდგომებს ვერ ან არ იყენებენ და მათი საქმიანობის დასჯის შიშზეა დამყარებული , რასაც ზოგჯერ სკოლის კოლექტივიც უწყობს ხელს. „კარგად მოიქეცი, თორემ მანდატურს მოვიყვან“, „ჩაგაბარებ მანდატურს“ და ა.შ. კარგი მაგალითებიც არის მაგალითად, ჩემი ახლობელი, რომელიც სკოლაში მანდატურად მუშაობს , ასახელებს რამდენიმე შემთხვევას , როცა მისი ჩარევით მოსწალე დაუბრუნდა ნორმალურ სასკოლო ცხოვრებას. ერთეული გამონაკლისები , ცხადია, საკმარისი არ არის .

აღვნიშნავთ იმასაც, რომ სკოლებში არ არის ფსიქოლოგი. აჭარის რეგიონში მათ რაოდენობა ორი ათეულიც არ არის. არ მოქმედებს სოციალური სამსახური სკოლებში.

ამ ფონზე მკვლევარ გ. გელაძე მიერ 2012 წელში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის

გააქტიურებას, გაუმჯობესების აუცილებლობის საჭიროდ მიიჩნევს საზოგადოების სხვადასხვა ფენის გამოკითხულ რესპოდენტთა 74% .რეაბილიტაცია შესაძლებლად მიაჩნია 41%.

მწვავეედ დგას პრობლემა იმასთან დაკავშირებით , რომ არამარტო სკლაში , არამედ სკოლის გარეთაც იმყოფებიან კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები , რომლებიც რთულ „რისკჯგუფებს“ წარმოადგენენ. მათი რისკისაგან დაცვის გზა მიზანმიმართული პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მუშაობაა.

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სკოლის გარემოსთან დაბრუნებისას გასათვალისწინებელია ორი ვითარება: ა) ბავშვი მიდის მისთვის უცნობ კლასში , ბ) ბავშვი ბრუნდება თავისივე კლასში. ორივე შემთხვევაში ბავშვის დახმარების სპეციფიკურობის გამო , სასწავლო გარემო შესაცვლელია.

განვიხილოთ რა არის სასწავლო გარემო?

სასწავლო გარემოს უპირველესი განმსაზღვრელია მასწავლებლისა და მოსწავლის დამოკიდებულება.მზრუნველობით აღსავსე ურთიერთობა , რომელიც დამყარებულია ურთიერთპატივისცემასა და გულწრფელობაზე, სწავლების პროცესში მრავალი პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს . მოსწავლეები ყველა შემთხვევაში გრძნობენ პედაგოგის გულისხმიერ, ყურადღებითა და მზრუნველობით აღსავსე დამოკიდებულებას და ცდილობენ ასეთივე დამოკიდებულებით უპასუხონ.

რატომაა მნიშვნელოვანი მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა ? იმიტომ, რომ იგი გავლენას ახდენს მოტივაციაზე , სწავლაზე , ქცევაზე. საგნის მიმართ მოტივაციას უფრო ხშირად საყვარელი მასწავლებელი განაპირობებს .საყვარელი მასწავლებელი კი ისაა, ვინც მოსწავლეს ყურადრებით უსმენს , ესმის მისი, არ ღიზიანდება , აღიარებს მოსწავლის პიროვნებას , ღებულობს უპირობოდ ისეთს , როგორიც არის და ეხმარება , რომ გახდეს უკეთესი. მიღწეული წარმატებით ხარობს მოსწავლესთან ერთად .

მასწავლებლისა და მოსწავლის კეთილი ურთიერთობის ჩამოყალიბებისთვის საჭიროა მასწავლებელი დაინტერესდეს მოსწავლის სასწავლო, ემოციური და სოციალური პრობლემებით. ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა გზით შეიძლება , მშობლებთან შეხვედრებით , ინტერვიუთი , აქტივობებით, კოლეგებთან გასაუბრებით , სპეციალისტისთვის რჩევის მიმართვით და სხვა . სასარგებლოა ,როცა მოსწავლეებს საშუალება აქვთ უკეთ გაიცნონ ერთმანეთი. შემოგთავაზებთ რამდენიმე აქტივობას .

აქტივობა I: „როგორ ვხედავ მე ჩემს თავს და როგორ მხედავენ სხვები“

ინსტრუქცია: გთხოვთ შეავსოთ ცხრილი ,მოსწავლე წერს თავის დახასიათებას და კლასში ერთ-ერთი მოსწავლის დახასიათებას . ერთი მოსწავლე კითხულობს მის მიერ საკუთარი თავის დახასიათებას და ისმენს მის შესახებ სხვის დახასიათებას . აკეთებენ ანალიზს რა დაემთხვა , რა არის გასაზიარებელი, რა სასარგებლობას მოუტანს სხვისი თვალით დანახული რჩევები

აქტივობა 1

თვითშეფასების შესახებ მრავალი შეხედულება და თეორია არსებობს .

გთავაზობთ თვითშეფასების შკალას როზენბერგის მიხედვით.

	სრულიად ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ნაწილობრივ არ ვეათანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
მთლიანობაში კმაყოფილი ვარ საკუთარი თავით				
ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩემში არაფერი კარგი არ არის				
ჩემი აზრით მე გამაჩნია				

რამდენიმე კარგი თვისება				
საქმეს ისევე ვართმევ თავს ,როგორც ადამიანების უმრავლესობა				
მე არც ისე ვამაყობ საკუთარი თავით				
ზოგჯერ თავს დაუცველად ვგრძნობ				
მე ვფიქრობ არავისზე ნაკლები არ ვარ				
მსურს უფრო მეტად ვცემდე პატისვს საკუთარ თავს				
მე საკუთარ თავს უიღბლოდ მივიჩნევ				
მე პოზიტიურად ვარ განწყობილი საკუთარი თავისადმი				

აქტივობა:2

ინსტრუქცია: გთხოვთ შეავსოთ

პიროვნული შფოთვის კითხვარი

		თითქმის არასოდეს	ზოგჯერ	ხშირად	თითქმის ყოველთვის
1	კმაყოფილებას ვგრძნობ				
2	ჩვეულებრივ სწარაფად ვიღლები				
3	მე იოლად შემიძლია ტირილი				
4	სხვებივით ბედნიერი მინდა ვიყო				
5	ხშირად ვაგებ იმის გამო ,რომ სწრაფად ვერ ვიღებ გადაწყვეტილებას				
6	ჩვეულებრივ თავს მხნედ ვგრძნობ				
7	მშვიდი აუღელვებელი და მობილიზებული ვარ				
8	მოსალოდნელი სიძნელეები ჩვეულებრივ ძალიან მაღელვებს				
9	მეტისმეტად ვღელავ წვრილმანების გამო				
10	სავსებით ბედნიერი ვარ				
11	ყველაფერი მეტისმეტად ახლოს მიმაქვს გულთან				
12	საკუთარი თავისადმი რწმენა				

	არ მყოფნის				
13	საერთოდ თავს უსაფრთხოდ ვგრძნობ				
14	ვცდილობ განვერიდო კრიტიკულ სიტუაციებს და სიძნელეებს				
15	სევდა მეუფლება ხოლმე				
16	კმაყოფილი ვარ				
17	ყოველგვარი წვრილმანი ჩემს ყურადღებას იქცევს და მღელვებს				
18	ისე ძლიერ განვიცდი საკუთარ იმედგაცრუებას, რომ შემდეგში დიდხანს ვერ ვივიწყებ ხოლმე				
19	გაწონასწორებული ადამიანი ვარ				
20	მე ძლიერ ვწუხვარ, როდესაც ვფიქრობ ჩერმს საქმეებზე და საზრუნავზე				

აქტივობა: 3

„რა ვთქვი, რა ვიფიქრე , როცა დავკარგე საკუთარი თავის კონტროლი“

მე ვთქვი გულში	მე ვიფიქრე ჩემს შესახებ

აქტივობა: 5

რა განსხვავებაა ადამიანსა და პიროვნებას შორის ?

ჩამოწერე 10 ცნობილი პიროვნება , რომლებმაც საზოგადოების განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს და დაახასიათე:

აქტივობა: 6

რა დოზითაა თქვენში აგრესიულობა ?შეკითხვებს უპასუხეთ „დიახ“ ან „არა“

1. მოთმინების უნარს ადვილად კარგავთ?
2. როცა ვირაცას პრინციპულად არ ეთანხმებით , ჩხუბზე გადადიხართ?
3. გეჩვენებათ , რომ სხვებს თქვენი შურთ ?
4. რაიმეს ჯიბრით გაკეთება გსიამოვნებთ?
5. ძალას ლოგიკაზე მაღლა აყენებთ?
6. გარშემომყოფების მიმართ ხშირად უხეშობთ?
7. საშინელებათა საბრძოლო ჟანრის ფილმებს ხშირად უყურებთ?
8. გიყვარს სხვების აბუჩად აგდება ?
9. არსებობს ადამიანი , რომელსაც ვერ იტანთ?
10. შეგიმჩნევიათ , რომ გარშემომყოფები , თავს ხშირად გარიდებენ?
11. ყოფილა შემთხვევა , გაბრაზებულს რაიმე დაგილეწავთ ?
12. მიგაჩნიათ , რომ ზოგი დანაშაულიოსთვის სიკვდილით დასჯა აუცილებელია?
13. ვინმე ხშირად დაგისჯიათ ?

(ყოველ დადებიტ პასუხში -1, უარყოფითში -0 დაიწერეთ)

5-13 ქულა: აგრესიისადმი საოცარი მიდრეკილება გაქვთ.

0-4 ქულა: გარშემომყოფებისადმი კეთილგანწყობილი ხართ.

აქტივობა: 7

„სარკეე მითხარი...“

თქვენ გაწუხებთ ის ,თუ როგორ გამოიყურებით ?

1. როცა თქვენ სარკეს ჩაუვლით , აკვირდებით საკუთარ გარეგნობას?

   ა) არასოდეს;

ბ) ზოგჯერ;

გ) ყოველთვის;

2. თქვენ მიდიხართ მნიშვნელოვან შეხვედრაზე .ტანისამოს გამოიცვლით?

ა) ერთხელ;

ბ) სამჯერ;

გ) ჩვიდმეტჯერ;

3. რა დრო გჭირდებათ რომ მოემზადოთ სკოლაში წასასვლელად ?

ა) 10 წთ;

ბ) 20 წთ;

გ) 2 სთ;

4. საღამოზე შეხვდით ძველ ნაცნობს , რომელიც დიდი ხანია არ გინახავთ . რას ეტყვუით მას?

ა) რა კარგია ,რომ ისევ შეგხვდი;

ბ) იპოვე ისეთი სამსახური , როგორიც გინდოდა?

გ) სად შეიძინე ეს ფეხსაცმელი?

5. საღამოზე თვენ სპორტულად ჩაცმული მიხვედით , ქ კი ყველანი ელეგანტურად ჩაცმული დაგხვდათ . თქვენ :

ა) ვერ შეამჩნევთ;

ბ) შეამჩნევთ, მაგრამ არ მიაქცევთ ყურადღებას;

გ) წახვალთ სახლში და გამოიცვლიტ;

6. თქვენ გაქვთ მნიშვნელოვანი შეხვედრა ადამიანთან , რომელიც მოგწონთ .წინასწარ დაგეგმეთ რა უნდა ჩაიცვათ, მაგრამ ბოლო წუთებში შეიტყვეთ , რომ თქვენი სამოსი ძმა/დას ჩაუცამს . თქვენ:

ა) საჩქაროდ შეარჩევთ რაიმე სახვას ;

ბ)ბევრ დროს დაკარგავ რაიმე ახლის შესარჩევად ;

გ) დარჩებით სახლში ცუდი განწყობით;

7. თქვენ უნდა შეხვდეთ უცნობ ადამიანს . შეხვედრისას ხედავთ , რომ საშინლად აცვია . თქვენ:

   ა) არაფერს არ იფიქრებთ;

   ბ) იფიქრებთ , რომ ეს ბოლო მოდაა;

   გ) მობრუნდებით და წახვალთ სახლში;

8. საღამოზე ვიღაც პიროვნება გაგაცნეს .მისი ჩაცმულობა არ მოგეწონათ .თქვენ:

   ა) ეცდებით გაიგოთ როგორი პიროვნებაა;

   ბ) იფიქრებთ , რომ მას ასეთი გემოვნება აქვს;

   გ) მოუბოდიშებთ და იპოვით სხვა თანამოსაუბრეს ;

9. მნიშვნელოვანია თქვენთვის ადამიანის გარეგნობა ?

   ა) მნიშვნელობა არ აქვს ;

   ბ) ძალიან მნიშვნელოვანია

   გ) ყველაზე მნიშვნელოვანია

ეს არც თუ ისე იოლი სავარჯიშოა .

თუ პასუხების უმრავლესობა შეადგენს (გ)-ს თქვენ ძალიან გაღელვებთ , როგორც საკუთარი ასევე სხვისი გარეგნობა . შეიძლება ტქვენ იმიტომ ნერვიულობთ გარეგნული იერის გამი , რომ არ იციტ რა ხდება თქვე შინაგან სამყაროში.

აქტივობა: 8

შეგიძლია თუ არა მოსმენა ?

1. ცდილობთ თუ არა შეაწყვეტინოთ ლაპარაკი თანამოსაუბრეს , თუ საუბრის თემა არ გაინტერესებთ?
2. გაღიზიანებთ თუ არა თანამოსაუბრის მანერები?
3. შეიძლება თუ არა თანამოსაუბრის არასწორმა გამოთქმამ თქვენში გაღიზიანება ან უხეშობა გამოიწვიოს ?

4. ერიდებით თუ არა უცნობებთან საუბრის გაბმას ?
5. ერთვებით ხოლმე თნამოსაუბრეს ლაპარაკში ?
6. ხშირად მოჩვენებით უსმენთ მოსაუბრეს?
7. იცვლით თუ არა ხმის ტონს და სახის გამომეტყველებას იმის მიხედვით , თუ ვინ არის ქვენი მოსაუბრე?
8. ცვლით თუ არა საუბრის თემას , თუ ტანამოსაუბრე თქვენთვის არასასურველს შეეხება ?
9. შეგიძლიათ თანამოსაუბრეს არასწორად წარმოთქმული სიტყვა შეუსწოროტ ?
10. გაქვთ თ არა ქედმაღალი ტონი თანამოსაუბრის მიმართ?

დიალოგი: გავზარდოთ ჩვენში მოსმენის კულტურა.

აქტივობა: 9

წითელი ალამი

როგორი ადამიანები, საგნები იწვევს თქვენში რისხვას , წყრომას?

როგორი ადამიანები გაღიზიანებთ?

როგორი ადამიანები გიშლიან ხელს?

რის გამო გრძნობთ თავს უხერხულად?

როგორ ადამიანებს გამოჰყავხართ მდგომარეობიდან?

აქტივობა:10

„დადებითი და უარყოფითი მხარე“

დადებითი მხარე ჩემს ცხოვრებაში	უარყოფითი მხარე ჩემს ცხოვრებაში, რომელსაც მე ვერ ვაკონტროლებ

მსჯელობა:

ეს აქტივობები საშუალებას იძლევა მასწავლებელმა , კლასის დამრიგებელმა დაინახოს თითოეული მოსწავლის ხასიათის თავისებურებები, საჭიროებები, მოსწავლეებმა უკეთ გაიცნონ ერთმანეთი . მონაცემების ანალიზის მიხედვით მუშაობის დაგეგმვა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის კეთილურთიერთობის ჩამოყალიბებას, ერთმანეთზე ზრუნვას.

პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ასპექტია ეფექტური კომუნიკაცია . ზოგჯერ ხმის ტონი , სხეულის პოზა, ჟესტი , მინიშნება , შეხედვაც კი შეიძლება გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს .

ეფექტური კომუნიკაციის გამოყენებას ხელს უწყობს აქტიური მოსმენის უნარის ჩანიშნვა ბლოკნოტში , შეკითხვის მომზადება , აზრის გამოთქმა-ჩამოყალიბება , დამაზუსტებელი შეკითხვები:“ასე გინდოდათ გეთქვათ?.....რას გულისხმობ?.“

დიალოგის წარმართვა ისე , რომ მოსწავლე გრძნობდეს მისი აზრი მისაღებია , მის მოსაზრებას პატივს სცემენ .იმისთვის , რომ მასწავლებელმა შეაფასოს შექმნილია თუ არა კლასში ურთიერთპატივისცემის და ურთიერთგაგების გარემო, სასურველია გამოიყენებულ იქნას შემდეგი რეკომენდაციები.

- დაინტერესდით მოსწავლეთა სასწავლო პრობლემებით და იკვლიეთ მათი ემოციური , აკადემიური და სოციალიური რობლემები.
- ინდივიდუალურად, დიფერენცირებულად , შემოქმედებითად მიუდექით თითოეულ მოსწვლეს .
- მიმართეთ მოსწავლეებს შეკითხვებით , რომელზეც ერთმნიშვნელოვანი პასუხები არ არსებობს, მიეცით მათ საშუალება გამოხატონ თავიანთი აზრი.
- გაითვალისწინეთ მოსწავლეთა ინტერესები , გამოავლინეთ მათი ძლიერი მხარე და უკეთესი სწვლისა და ქცევის აქტივობები დაგეგმეთ შედეგის გათვალისწინებით.

- გამოხატეთ მოსწავლეთა აზრისა დეა ქცევის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება და შეეცადეთ თანდათან გაასწორებინოთ შეცდომა ან დისციპლინის დარღვევა .
- გულისხმიერად მოეკიდეთ მოსწავლის განცდებს, ემოციებს.
- ყველა მოსწავლეს მოექეცით თანაბარი სითბოთი და სიყვარულით, თუ მაინც და მაინც გყავთ ფავორიტი მოსწავლეები , აღიარეთ ეს კლასის წინაშე და განმარტეთ რატომ.
- გამოხატეთ მოსწავლეების შესაძლებლობების მიმართ რწმენა და მაღალი მოლოდინი.

ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების სასწავლო გარემოს შექმნის ხარისხის შესამოწმებლად შემოთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები (გზამკვლევი 2015)

მოსწავლეები:

- ნდობით და პატივისცემით ეკონტაქტებიან ერთმანეთს და მასწავლებელს.
- თამამად სვამენ შეკითხვებს.
- არიან ინიციატივიანები.
- არ ერიდებათ პრობლემის გადასაჭრელად დახმარება სთხოვონ მასწავლებელს ან თანაკლასელს.
- ხასიათდებიან მაღალი თვითშეფასებით.
- ზრუნავენ ერთმანეთზე.
- გულწრფელად გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებეს.
- გულისყურით ისმენენ რჩევებს და ცდილობენ შეასრულონ.
- ზარის დარეკვისთანავე არ გარბიან კლასიდან .
- იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლასა და ქცევაზე.

ასეთი სასწავლო გარემო ქმნის პირობებს შედარებით ადვილად მოხდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი მოსწავლის შემობრუნება სიკეთისაკენ.

გასათვალისწინებელია ის ვითარება , რომ დანაშაულისაკენ მიდრეკილმა მოსწავლემ კლასში უარყოფითი გავლენა მოახდინოს , დისკომფორტი შეუქმნას დამხვდურ მოსწავლეებს , უფრო მეტიც აიყოლიოს ზოგიერთი მოსწავლე .

რთული ვითარების დასაძლევად სასურველია საქმიანიობის დაგეგმვა მშიბლებთან და მათთან ერთად ეფექტური გზების ძიება და პოვნა . მოსწავლეთა მონაცემების შეგროვება სოციალური კუთხით: რა უჭირს , რაში სჭირდება დახმარება. მაგალითად, ერთმა მოსწავლემ შეკითხვაძე -რა არის შენი ოცნება ,უპასუხა ოცნება არ მაქვსო . მასწავლებელი დაინტერესდა რა არის მიზეზი ,რომ 14 წლის ბავშვს არა აქვს ოცნება.ნდობის მოპოვებით , ოჯახში სტუმრობით შეძლო მიზეზის გარკვევა : ბავშვი ცხოვრობს ძალიან ღარიბ ოჯახში, ინვალიდი მამა არ მუშაობს, დედას ხან აქვს სამუშაო ხან არა.ყოველი დღე იწყება შიშით : დღეს საჭმელი ექნებათ თუ არა . მასწავლებელმა თხოვნით მიმართა გამგებელს და ისიც დაეხმარა დედას - დაასაქმა დამლაგებლად ,აქვს მუდმივინ ხელფასი, მამას დახმარება გამოუყო , პერიოდულად, მაგრამ ხშირად ეხმარება სურსათით წამლებით .

მოსწვლემ მადლობა იმით გამოხატა , რომ მასწავლებელს ჰკითხა ; „შეიძლება ჩაგეხუტოთ“. ეს ცრემლიანი ჩახუტება იყო . მოსწავლეც ტიროდა და მასწავლებელიც .

ამ ფაქტმა მთელ კლასზე იქონია გავლენა . ბავშვები გულისხმიერები გახდნენ . აღარ უმალავდნენ მასწავლებელს თავის გასაჭირს , არც ერთმანეთის წინაშე აღიარების რცხვენოდათ.

დაკვირვების მიხედვით ერთ-ერთ უმთავრესია ჩამოყალიბდეს მოსწავლეს პასუხისმგებლობის აღქმა საკუთარ ქცევაზე, იცოდეს კეთილისა და ბოროტის გარცევა ,გააცნობიეროს თავისი ვალდებულება ოჯახის , სკოლის , საგვარეულოს , სოფლის წინაშე.

დასჯის ფორმების გამოყენებაც შეიძლება , მაგრამ აქ გასათვალისწინებელია დასჯის დადებითი და უარყოფითი ფორმების გამოყენება . დაუსჯელობა ზრდის ან აძლიერებს უარყოფით ქცევას , მაგრამ არასწორი დასჯა ანგრევს ბავშვის ფსიქიკას .

დასჯა მაშინ არის დადებითი , თუ მას შედეგი მოაქვს .(რისმე აკრძალვა ,სიტყვიერი უკმაყოფილების გამოხატვა და სხვა).

საინტერესოა კვლევა (.გელაძე 2012), რომელიც ჩატარდა იმ კლასში, სადაც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი დაბრუნდა . კვლევამ ორი ეტაპი მოიცვა: პირველი ეტაპი- ბავშვის კლასში დავბრუნების ერთი თვის შემდეგ . მეორე ეტაპი- ბავშვის კლასში დაბრუნების ექვსი თვის შემდეგ .

აღვნიშნავთ , რომ ექვსი თვის განმავლობაში კლასში მიმდინარეობდა მრავალფეროვანი მუშაობა .კვლევის მიზანი იყო სასწავლო გარემოში თანატოლთა ქცევით გამოწვეული კმაყოფილების ხარისხის დადგენა . კვლევის შედეგებით კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის ქცევის დამხვდურ მოსწავლეთა კმაყოფილეის განცდაზე უარყოფითი გავლენის დონე შემცირდა ექვსი თვის სპეციალური საქმიანობის შემდეგ, ხოლო მოსული ბავშვის მიერ თანაკლასელთა ქცევით გამოწვეული კმაყოფილება გაიზარდა , რაც შემდგომში მისი ქცევის სასიკეთოდ წარმართვის საფუძველს ქმნის.

ამასთან გასათვალისწინებელია მოსწავლის ქცევის უარყოფითად შეცვლის საფრთხე. რის თავიდან ასაცილებლად მიღწეული შედეგების გაუმჯობესებისაკენ მუშაობა ახალ მიდგომებს საჭიროებს.

აღნიშნული პროცესი საკმაოდ რთული შესასრულებელია , მასწავლებლისაგან მუდმივ ყურადღებას , დაძაბულობას , სტრესთან გამკვლავებას, სიახლეების ძიებას მოითხოვს . მაგრამ შედეგი- თუნდაც ერთი ბავშვის სიკეთისკენ შემობრუნება და გაცნობიერება გასაჭირში ჩავარდნილი თანათოლის დახმარებისა მასწავლებლისთვის უდიდესი სიხარული და გამარჯვებაა.

მეცნიერი და პედაგოგი შალვა ამონაშვილი წერდა, რომ ჩემი წარმატება წარჩინებული მოსწავლე კი არ არის , არამედ ის , რომ ჩამორჩენილი და სუსტი წარჩინებული გახდებაო.

გაჩნდა კითხვა ვინ უნდა ასწავლოს მასწავლებელს , კლასის დამრიგებელს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები ?

სამწუხაროდ, ამ მიმართებით ვიპოვეთ ვერც ტრენინგის თემა , ვერც მეთოდური მუშაობის ფორმები.მხოლოდ ალტერნატიულ - არასამთავრობო ორგანიზაციებში არის რიგი საკითხები ჩართული ზოგირთ პროექტში . არის ერთ-ერთი კვლევა გ.გელაძის მიერ 2010-2012 წლებში შესრულებული , ისინი ძნელად ხელმისაწვდომია.

შეიძლება ითქვას რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები სკოლაში ჩართვის გარეშე რჩებიან სხვადასხვა მიზეზით : მისივე ქცევისა და ფსიქიკური მდგომარეობის გამო. მიზანშეწონილი არ არის ბავშვის სკოლაში დაბრუნევბა . ბავშვს არა აქვს სწავლის სურვილი , ოჯახს არ შეუძლია ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა . სკოლაში არ არსებობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის სისტემა , იგი ერთეული მასწავლებლის პირად ინიციატივაზეა დამოკიდებული.

ამრიგად, რომ განათლება - 2030-ის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნის არცერთი ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეშე შესასრულებლად აყურადღებას საჭიროებს კანონთან კონფლიქთში მყოფი ბავშვების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის პრობლემა .

შეცვლილ გარემოში შეგუების , კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ქცევის გარდაქმნის , აღზრდისა და განვითარებისათვის ეფექტური შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა შემდეგი პედაგოგიური საქმიანობა:

ა) ახალი წყაროების , რეკომენდაციების, რჩევების , წესების გამოყენება , წარმატებული პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინება;

ბ) ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა და მისი გადაჭრის სწორი გზის პოვნა;

გ)კლასში ისეთი აქმზრდელობითი ,ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვზე კეთილგავლენას და არა პირიქით.

დ) კლასის ქცევის მართვა და თვითმართვის განვიტარება;

ე)კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავლებელთა შეთანხმებული მუშაობა სპეციალური გეგმით.

ვ) სასკოლო გრანტების ამოქმედება მიზნობრივი პროგრამებისთვის;

ზ) საქმიანობაში ავტორიტეტული , ცნობილი მოღვაწეებისა და სპორტსმენების ჩაბმა;

თ)ბავშვის ოჯახთან თანამშრომლობა.

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეინტეგრაციისას პრაქტიკული პედაგოგიური საქმიანობით დადებითი შედეგების მისაღწევად სასურველია ისეთი ფორმების გამოყენება, როგორიცაა:

ა) დადებითი სასწავლო გარემოს შექმნა;

ბ) მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

გ) ბავშვის სოციალური აქტიურობის პოზიციის გამოვლ;ენა;

დ) ბავშვის შესახებ მონაცემთა ბანკის შექმნა და მისი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი საქმიანობის წარმართვაში სკოლის ფსიქოლოგის , სკოლის ექიმის(ექთნის), სკოლის სოციალური მუშაკის ჩართვა ;

ე) სასიცოცხლო უნარ-ჩვევების დაუფლება;

ვ) აღზრდის ნაცადი მეთოდების (მოსმენა , თავის თავზე დაკვირვება , თავის მორიდება , ერთგულება , არტთერაპია , მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია და სხვა) გამოიყენება;

ზ) საჭიროების შემთხვევაში ეკლესიის შესაძლებლობების სასიკეთო ზეგავლენის ჩართვა .

გამოცდილებით დადასტურებულია , რომ განსაკუთრებით ეფექტურია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის პროცესში სოციალური კომპეტენციების დაუფლება ბავშვების მიერ , რაც ხელს უწყობს დაეხმაროს, როგორ

იცხოვროს სხვებთან ერთად კეთილურთიერთობით , ზნეობრივად , სამართლიანად , იმოქმედოს რეალობის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს იგი, შეძლოს საკუთარი შეხედულებებისა და უნარების გამოვლენა-განვითარება.

§5 საზოგადოებაში ბავშვი თავს დაცულად უნდა გრძნობდეს

საზოგადოებაში შექმნილი ვითარება სკოლასა და ოჯახთან ერთად საგანმანათლებლო საქმიანობის მიმართულების განმსაზღვრელია.საზოგადოებრივი პროგრესისათვის განსაკუტრებული მნიშვნელობა ენჭება თავისუფალი საზიოგადოების ზრუნვას ბავშვის სოციალური დაცვისათვის .

დემოკრატიული საზოგადოების განათლების მიზნები თითოეული ბავშვისთვის თვითგამოხატვის და თვითგანვითარების პირობების შექმნას ითვალისწინებს . ბავშვის აწმყო და მომავალი ყოველთვის იყო ჯანსაღი საზოგადოების საზრუნავი.

ადამიანი ყალიბდება იმ საზოგადოების სოციალური , ისტორიული და კულტურული გავლენით, რომელშიც ცხოვრობს . საზოგადოებაში არსებული უკლებლივ ყოველი ცვლილება პირდაპირი თუ ირიბი გზით, იმ გარემოცვაზე აისახება , რომელშიც ბავშვები იზრდებიან და სწავლობენ.

თანამედროვე საგანმანათლებლო - სააღმზრდელო გარემოს ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა მიმართულებით: ინოვაციური სასწავლო და აღმზრდელობითი პროგრამები(სკოლისა და ოჯახისათვის).

- უახლესი კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა საგანმანათლებლო-აღმზრდელობით პროცესში .
- ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში არსებული გამოცდილების ინტენსიური გამოყენება.
- მართვის პრინციპებისა და სასკოლო ურთიერთობათა დემოკრატიზაცია.
- თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების პრინციპები.
- ბავშვის დაცვის მექანიზმები.

ბავშვის განვითარებისა და საარსებო გარემოს ფორმირებაზე გადამწყვეტ როლს ასრულებს სკოლა , ოჯახი და საზოგადოება . ძირითადი პრობლემა , რომელიც ხელს უშლის ამ სამი რგოლის გაერთიანებას ერთ დიდ სამკუთხედად არის მშობლის , პედაგოგისა და საზოგადოების გათიშულობა . თანამშრომლობისთვის უამრავი პირობა არსებობს. მათ შორის უმთავრესია: დაეხმარონ მოსწავლეს წარმატებას მიაღწიოს სწავლაში და შემდგომ ცხოვრებაში . როცა ყველა თანაბრად ინაწილებს პასუხისმგებლობას მოსწავლეთა გარშემო იქმნება და მუშაობას იწყებს მზრუნველი საზოგადოება.

განვიხილოთ მოდელები , რომლებიც ცხადყოფენ სოციალური გარემოსა და სკოლის ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზანშეწონილობას.

I მოდელი : სკოლა მხოლოდ მუთითებს საზოგადოებას თავის საჭიროებებზე , გამოთქვამს სურვილებს და იძლევა ინფორმაციას . სკოლასა და ოჯახს ერთმანეთთან აკავშირებს რომელიმე ფორმალური სტრუქტურული ერთეული. ამ შემთხვევაში მასწავლებლები ბავშვების ცხოვრებას სკოლაში ყოფნის პერიოდად აღიქვამენ და ოჯახს სკოლისაგან ცალკე მოიაზრებენ.

II მოდელი: განსხვავებული ვითარება იქმნება მაშინ ,როდესაც პედაგოგები ბავშვებში პიროვნებებს ხედავენ . სკოლა-ოჯახის-საზოგადოების გაერთიანებით ისინი პარტნიორები ხდებიან , რომლებიც კარგად აცნობიერებენ თავის ინტერესებს ბავშვის მიმართ და ერთობლივად მუშაობენ მათთვის უკეთესი მომავლის შესაქმნელად . საერთო ინტერესის არსებობის შემთხვევაში ეს რგოლები ერთმანეთს შორდება.

III მოდელი: როცა ყველა თანაბარ პოზიციაშია სკოლა , ოჯახთან და საზოგადოებასთან ერთად წარმოადგენს ერთ მთლიან ორგანიზმს . თანაბრადაა განაწილებული უფლებები და მოვალეობები . მომავალ თაობაში ზრუნვის საკითხში.

სკოლა აქამდე ნახევრად ჩაკეტილ ორგანიზაციას წარმოადგენდა . ახალი წესდებით მოხერხდა სკოლის ირგვლივ არსებული „გალავნის“ რღვევა . სკოლის გარშემო საზოგადოებაში არსებობს უამრავი რესურსი რომელთა მოძიება და გამოყენება ნებისმიერი სკოლისათვის მნიშვნელოვანი წარმატების საწინდარი იქნებოდა .

მოსწავლეთა წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელია ყველა გულშემატკივარ ძალათა გაერთიანება . მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით ეწევა მიზანმიმართულ საქმიანობას „მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციები“ . რომელთა მიზანია ადამიანის ცოდნისა და უნარების მიმართვა ბავშვის საკეთილდღეოდ.

საქართველოში წარმატებულ საქმიანობას ეწევა „ასოციაცია სკოლა , ოჯახი და სააზოგადოება“ .ისინი შესანიშნავად იყენებდნენ მათ გარშემო მყოფი პედაგოგებისა და მშობლების რესურსებს ბავშვთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენასა და გადაჭრაში .

განათლების სისტემაში დემოკრატიულ ატმოსფეროს დაამყარებს ისეთი საგანმანათლებლო პროცესი , რომელშიც განათლებაში მონაწილე ყველა სუბიექტი- სახელმწიფო , საზოგადოება და პიროვნება თანაბარ მონაწილეობას მიიღებს.

საზოგადოების განვითარების დონე განისაზღვრება იმით თუ რამდენადაა დაცული ადამიანთა ბავშის უფლებები.

ბავშვთა უფლებეის კონვენციის პრიამბულაში აღნიშნულია : კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები მიიჩნევენ , რომ გაეროს მიერ დეკლარირებული პრინციპების შესაბამისად საზოგადოების ყველა წევრის ღირსების , თანასწორი და ხელშეუვალი უფლებების აღიარება არის დედამიწაზე თავისუფლების , სამართლიანობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საფუძველი . ბავშვთა უმთავრესი უფლებაა იყვნენ განსაკუთრებული მზრუნველობით გარემოსილნი.

ბავშვის დაცვის სამართლებრივი თუ სხვა სახის მექანიზმის უზრუნველყოფის აუცილებლობა როგორრც დაბადებიდან ისე დაბადების შემდეგ ქმნის ბავშვისათვის დაცულობის გარანტიას.

ბავშვის განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა დაცვის ჟენევის 1924 წლის წლის დეკლარაციით და გაეროს 1959 წლის წლის ბავშვთა უფლებების დეკლარაციით.

დეკლარაციაში ნათქვამია ,რომ ბავშვს ფიზიკური და გონებრივი უმწიფობის გამო ესაჭიროებათ მზრუნველობა და დაცვა როგორც დაბადებამდე ასევე დაბადების შემდეგ.

1989 წლის20 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლიამ მიიღო ბავშვთა უფლებათა კონვენცია , რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის უფლებების დაცვას მთელ მსოფლიოში .

ამჯამად ბავშვთა უფლებეების კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 151 ქვეყანამ , მათ შორის საქართველომ 1994 წლის 1 აპრილს . კონვენცია შედგება 54 მუხლისაგან , ბავშვად ითვლება 18 წლის ასაკს მიღწეული პირი . კონვენვციით გათვალისწინებული უფლებები თანაბრად ეხებათ ყველა ბავშვს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე . ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის , ექსპლუატაციის , უკანონო გადაადგილების , ძალადობის , ომისა და გაჭირვებისაგან . დაცული უნდა იყოს ოჯახში ბავშვის ნორმალური ცხოვრება , საცხოვრებელი ბინის ხელშეუვალობა , საჭიროების შემთხვევაში დროებით ან მუდმივად იზრუნოს სახელმწიფომ .

ამ მცირე მიმოხილვიდან ჩვენ ბავშვთა დაცვის საკანონმდებლო ბაზა და მისი შესრულების აუცილებლობა არსებობს . განხორციელების ხარისხი კი საზოგადოებაზე დიდად არის დამოკიდებული , რადგან თვითონ საზოგადოება ქმნის გარემოს , სადაც ბავშვი თავს კარგად იგრძნობს. ცხოვრების წესი და დონე განისაზღვრება არა მარტო მაღალი ეკონომიკური სტანდარტებით , არამედ მაღალი სოციალური მოთხოვნილებებითაც .

ამრიგად , ყველა ბავშვს აქვს უფლება ნებისმიერ დროსა და ადგილას თავს დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობდეს იქნება ეს სკოლა , ოჯახი თუ საზოგადოება .

დასკვნები

ხარისხიან განათლებასა და სოციალური პირობების ურთიერთმიმართების პრობლემა არის განათლება - 2030 ინჩიონის დეკლარაციისა და სამოქმედო ჩარჩოს ინკლუზიური და თანასწორი ხარისხიანი განათლებისა და სოცოცხლის მანძილზე სწავლის ახალი ხედვების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი.განათლების მეშვეობით ცხოვრების გარდაქმნა ეფუძნება სოციალუირ სამართლიანობას , დაუცველობას ,პასუხისმგებლობას .

განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა ზემო აჭარაში არ არსებობს და დაწყებით განათლებას იღებს ამ ასაკის ყველა ბავშვი ,მაგრამ ეს მწვავე პრობლემაა მსოფლიოსთვის. 57 მილიონ ბავშვს (2015 წლის მონაცემებით) შეზღუდული აქვს დაწყებითი განათლების მიღება და სკოლის გარეთაა დარჩენილი.

კვლავ ბევრია გასაკეთებელი სკოლამდელი აღზრდის გაუმჯობესებისათვის კერძოდ ,ბაღების ქსელის გაფართოება.ინკლუზია და თანასწორობა დაცულია ზემო აჭარის სკოლებში, სადაც სხვადასხვა რელიგიის ბავშვები ერთად მშვიდობიან, კეთილგანწყობილ გარემოში სწავლობენ.მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია წმინდა აბუსერიძე ტბელისა და წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლები,სადაც სხვადასხვა რელიგიის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად იღწვიან ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთებით გონებრივად განვითარებული თაობის აღზრდისათვის.

ქალისა და ვაჟის ერთად სწავლების პრობლემა ზემო აჭარაში ათეული წლებია აღარ არსებობს.ქალთა განათლებისა და წერა-კითხვის აუცილებლობის ლიკვიდაციის არსებული გამოცდილება ,რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში დაიწყო და 10 წლის შემდეგ შედეგიანად დასრულდა ,კარგი გზამკვლევი იქნება იმ ქვეყნებისათვის , სადაც ეს პრობლემა ჯერ კიდევ არსებობს .

ხარისხიანი განათლების განხორციელებისათვის ერთ-ერთ პრობლემაა სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსობრივი გაუმართაობა და სიძვირე ,რითაც იგი ძნელად ხელმისაწვდომია მოსწავლეთა დიდი ნაწილის ოჯახებისათვის .სასწავლო წლის

დასაწყისის სიხარულს აუფერულებს დარდი და ზრუნვა სახელმძღვანელოების შეძენისათვის .

ხარისხიანინ სიცოცხლის მანძილზე სწავლების გასაუმჯობესებლად მიმდინარეობს მუშაობა ,რომელიც შემდგომ გააუმჯობესებას მოითხოვს ,მხედველობაში გვაქვს მასწავლებელთა გადამზადება ,მოსწავლეთა ერთ საფეხურიდან მეორეზე გადასვლა.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ბავშვთა სიცოცხლის დაუცველობა კონფლიქტის ზონებში ,მათი სწავლის შეუძლებლობა და ცხოვრების გაუსაძლ;ისი პირობები.

განათლება -2030-ის ძირითადი ხედვის ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების განხორციელებისათვის უმთავრესია ბავშვთა სოციალური პირობების გაუმჯობესება.

ავღნიშნავთ,რომ საერთაშორისო კვლევების მიხედვით 2015 წლის მონაცემებით სიღარიბის ზღვარს მირმა საქართველოში ცხოვრობს ყოველი მეხუთე ბავშვი.

ბავშვიანი ოჯახების 46% სოფლებში ცხოვრობს ,ამის პარალელურად ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი 50% უფრო მაღალია სოფლებში ქალაქთან შედარებით .

მიუხედავად იმისა,რომ 2015 წლისთვის გაზრდილი იყო ოჯახების საშუალო მოხმარება ,არ შეცვლილა შემოსავალი და ბავშვები კვლავ სიღარიბის ზღვარს მირმა რჩებოდნენ.

2017 წლის კვლევების შედეგებმა აჩვენა ,რომ მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელი.შემოსავლის რეალური ზრდის გამო ,ხალხი ნაკლებად მიიჩნევს თავს ღარიბად .

კვლევის მიხედვით ბავშვები კვლავ დაუცველ ჯგუფებად რჩებიან,ისინი მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ჯგუფს განეკუთვნებიან .

ბავშვთა სიღარიბის შემცირებაზე დიდ გავლენას ახდენს მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვის დანამატის პროგრამები.

საბავშვო ბაღებში დასწრებასთან დაკავშირებით შემცირდა სხვაობა ღარიბ/მდიდარ, ქალაქად/სოფლად მცხოვრებ ბავშვებს შორის.

ღარიბ ოჯახებში მცხოვრებ 3-5 წლის ასაკის 10 ბავშვიდან 6-ს საბავშვო წიგნები საერთოდ არ აქვთ ,ან აქვთ არასაკმარისი რაოდენობით.

ღარიბი მოსახლეობის 15-18 წლის ასაკის ყოველი მეხუთე ბავშვი აღარ არის ჩართული საგანმანათლებლო სისტემაში.

2017 წლის კვლევის შედეგები გახდა საფუძველი ახალი მიდგომებისა ,მხედველობაში გვაქვს სკიოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაზრდა სოფლად და გადასახადების შემცირება .უფასოდ სახელმძრვანელოების მიწოდების რაოდენობის ზრდა .

საერთაშორისო კვლევების შედეგები ხელს უწყობს ბავშვთა სიღარიბის ვითარების დადგენის სხვადასხვა მონაცემების მიხევით ,რაც შესაძლებლობას ქმნის მიზნობრივად დაიგეგმოს ბავშვთა სიღარიბის აღმოფხვრისათვის საქმიანობა ყველა დონეზე : საზოგადოების რეგიონის ,სახელმწიფო დონეზე.

ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის უფლება და არ უნდა უხდებოდეთ გადარჩენისთვის ბრძოლა .სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს და უზრუნველყოს მათი უფლებები .

პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, იურიდიული წყაროების, უახლესი საერთაშორისო კვლევების შედეგების მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ჯანსაღი ცხოვრებისკენ შემობრუნებაში დახმარებისთვის პრიორიტეტი ენიჭება მიზანმიმართულ პედაგოგიურ საქმიანობას ,რგორც სასკოლო, ასევე არასასკოლო გარემოში.

პედაგოგიურ ფსიქოლოგიური და იურიდიული თვალსაზრისით, განსაზღვრული ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება პედაგოგების , იურისტებისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მომუშავე სხვა სპეციალისტების მიერ ხელს უწყობს: ა) განისაზღვროს სასჯელის ისეთი ზომა , რომ ბავშვმა აღიქვას და გააცნობიეროს პასუხისმგებლობა ჩადენილი ქმედებისათვის; ბ) ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის შერჩეული იქნას შესაბამისი მეთოდები, ხერხები, საშუალებები.

აღვნიშნავთ, რომ განათლება - 2030-ის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნის არცერთი ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეშე შესასრულებლად ყურადღებას საჭიროებს კანონთან კონფლიქთში მყოფი ბავშვების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის პრობლემა .

შეცვლილ გარემოში შეგუების , კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ქცევის გარდაქმნის , აღზრდისა და განვითარებისათვის ეფექტური შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა შემდეგი პედაგოგიური საქმიანობა:

ა) ახალი წყაროების , რეკომენდაციების, რჩევების , წესების გამოყენება , წარმატებული პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინება;

ბ) ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა და მისი გადაჭრის სწორი გზის პოვნა;

გ)კლასში ისეთი აღმზრდელობითი ,ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვზე კეთილგავლენას და არა პირიქით.

დ) კლასის ქცევის მართვა და თვითმართვის განვითარება;

ე)კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავლებელთა შეთანხმებული მუშაობა სპეციალური გეგმით.

ვ) სასკოლო გრანტების ამოქმედება მიზნობრივი პროგრამებისთვის;

ზ) საქმიანობაში ავტორიტეტული , ცნობილი მოღვაწეებისა და სპორტსმენების ჩაბმა;

თ)ბავშვის ოჯახთან თანამშრომლობა.

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეინტეგრაციისას პრაქტიკული პედაგოგიური საქმიანობით დადებითი შედეგების მისაღწევად სასურველია ისეთი ფორმების გამოყენება, როგორიცაა:

ა) დადებითი სასწავლო გარემოს შექმნა;

ბ) მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

გ) ბავშვის სოციალური აქტიურობის პოზიციის გამოვლ;ენა;

დ) ბავშვის შესახებ მონაცემთა ბანკის შექმნა და მისი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი საქმიანობის წარმართვაში სკოლის ფსიქოლოგის , სკოლის ექიმის(ექთნის), სკოლის სოციალური მუშაკის ჩართვა ;

ე) სასიცოცხლო უნარ-ჩვევების დაუფლება;

ვ) აღზრდის ნაცადი მეთოდების (მოსმენა , თავის თავზე დაკვირვება , თავის მორიდება , ერთგულება , არტთერაპია , მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია და სხვა) გამოიყენება;

ზ) საჭიროების შემთხვევაში ეკლესიის შესაძლებლობების სასიკეთო ზეგავლენის ჩართვა .

გამოცდილებით დადასტურებულია , რომ განსაკუთრებით ეფექტურია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის პროცესში სოციალური კომპეტენციების დაუფლება ბავშვების მიერ , რაც ხელს უწყობს დაეხმაროს, როგორ იცხოვროს სხვებთან ერთად კეთილურთიერთობით , ზნეობრივად , სამართლიანად , იმოქმედოს რეალობის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს იგი, შეძლოს საკუთარი შეხედულებებისა და უნარების გამოვლენა-განვითარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ,საზოგადოებამ მთელი სერიოზულობით უნდა გააცნობიეროს მოზარდთა თვითმკვლელობის პრობლემა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებებში ჩაერთოს სკოლა , ოჯახი , საზოგადოება , ყველამ ერთნაირად უნდა ვიტვირთოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა.

აღვნიშნავთ , რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება ნებისმიერ დროსა და ადგილას თავს დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობდეს იქნება ეს სკოლა , ოჯახი თუ საზოგადოება.

ლიტერატურის დასახელება

- ადამიანის უფლებათა დეკლარაცია - 1998
- ბავშვთა უფლებების დეკლარაცია -1999
- განათლება - 2030 ინჩიონის დეკლარაცია და სამოქმედო ჩარჩო 2015
- გელაძე გენადი. კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის ასპექტები-2012
- გაზეთი „ახალი განათლება“ სწავლებისა და განვითარების პრობლემები -2007
- გობრონიძე ალექსანდრე - პედაგოგიკა - 2000
- გობრონიძე ალექსნდრე -ზნეობა 1999
- დალტო ფრანსუას - მოზარდის გვერდით 2002
- ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024
- მახარაშვილი ხათუნა-ქუჩის ბავშვები საზოგადოების პრობლემა და საზრუნავი აწს შრომები 2006
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი 2014
- მდგრადი განვითარების მიზნები 2015
- მედია და ბავშვთა უფლებების დაცვა -2006-ინტერნეტ რესურსი (რიდერით კითხვა)
- მაკარენკო ანტონ - პედაგოგიური პოემა 1988
- საზოგადოება და ბავშვები-ინტერნეტ რესურსი(რიდერით კითხვა)
- სოციალური პედაგოგიკა- ც.მეგრელაძე , ხ. მახარაშვილი, გ გელაძე 2009
- სოციალური პედაგოგიკა ლუბა ბბიბილეიშვილი 1995
- ქუჩის ბავშვები - ინტერნეტ რესურსი (რიდერით კითხვა)
- შემობრუნება სიკეთისკენ - ნატო შეროზია, გ.გელაძე -2006
- შიმშილი მსოფლიოს გლობალური პრობლემა - ინტერნეტ რესურსი
- ცუცქირიძე ზურაბ - სწავლებისა და განვითარების პრობლემები 2007